სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 24 მაისი 2001 №94 (1367) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



UEFA CHAMPIONS LEAGUE

HEIL HITZFELD!

REUTERS ფოტოები

CHAMPIONS LEAGUE

წუხელ ჩემპიონთა ლიგა ფინალი

CHAMPIONS LEAGUE

ვალენსია 1:1 (პენ. 4:5, 1:1) ბაიერნი

მილანი. «სან სირო». 85 000 მაყურებელი

1:0 მენდიეტა (3პ), 1:1 ეფენბერგი (51პ)

შოლმა ვერ გაიტანა პენალტი (7, მეკარე)

პენალტები

0:0 პაულო სერჟიო (ააცილა), 1:0 მენდიეტა, 1:1 სალიჰამიჯიჩი, 2:1 კარეუ, 2:2 ციკლერი, 2:2 ზაჰოვიჩი (მეკარე), 2:2 ანდერსონი (მეკარე), 2:2 კარბონი (მეკარე), 2:3 ეფენბერგი, 3:3 ბარახა, 3:4 ლიზარაზუ, 4:4 კილი გონსალესი, 4:5 ლინკე, 4:5 პელეგრინო (მეკარე)

კანისარესი, ანგლომა, აიალა (ჯუკიჩი 90), პელეგრინო, კარბონი, ბარახა, მენდიეტა, კილი გონსალესი, აიმარი (ალბელდა 46), კარეუ, ხუან სანჩესი (ზაჰოვიჩი 66)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

კანი, სანიოლი (იანკერი 46), კუფური, ანდერსონი, ლინკე, ლიზარაზუ, ჰარგრივსი, სალიჰამიჯიჩი, ეფენბერგი, შოლი (პაულო სერჟიო 108), ელბერი (ციკლერი 100)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

გაფრთხილება: კარბონი (26), ანდერსონი (38), კილი გონსალესი (106), კანისარესი (120)

მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)

4	კარისკენ დარტყმა	5
5	კარში დარტყმა	14
23	ჯარიმა	24
3	კუთხური	10
6	თამაშგარე	2

კანიბალი

ოლივერ კანმა ვალენსიას გული გაუპო

მთელი გუშინდელი დღე მიუნხენის მერმა სამზადისში გაატარა — საზეიმო დახვედრა, წვეულება... ხომ იცით, როგორც ხდება ხოლმე, მაგრამ „ბაიერნს“ მიუნხენში თასი რომ ვერ ჩაეტანა? მერმა წინასწარ საიდან იცოდა? არაფერიც არ იცოდა, თქვა, ჩვენი ფეხბურთელები ნებისმიერ შემთხვევაში იმსახურებენ ზარ-ზეიმით დახვედრასო.

ასე კი თქვა, მაგრამ, ვეჭვობთ, დამარცხებულ „ბაიერნს“ ისევე დახვედროდნენ, როგორც ერთი კვირით ადრე დამარცხებულ „ალავესს“ ვიტორიაში — „ბაიერნის“ და „ალავესის“ ამბიციების შედარება ცოტა უხერხულიცაა.

„ბაიერნმა“ იცოდა, რისთვის მიდიოდა მილანში და ისიც იცოდა, რითი მიდიოდა — თვითმფრინავმა საბორტო ნომრით A-321 მიუნხენელები მანამდე მოსკოვსა და მადრიდში აფრინა. ის ორივე თამაში „ბაიერნმა“ მოიგო.

დროს მახსოვრობიდან არ ამოუშლია ერთი კვირის წინანდელი ფინალი თავისი ცხრა გოლით. გუშინ „სან სიროზე“ სულაც თერთმეტი გოლი გავიდა, მაგრამ ეს გოლები არაფრით გავდა დორტმუნდულს. თერთმეტივე პენალტით, აქედან ცხრა მატჩისშემდგომ სერიაში და მომენტებს თუ გავიხსენებთ, საგოლე რასაც ჰქვია, ფაქტობრივად არც ყოფილა.

მე-2 წუთზე ახმახმა ნორვეგიელმა იონ კარეუმ მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა. ზედ მეკარის მოედანთან პატრიკ ანდერსონი მინდორზე დავარდა და მთელი ტანით გადაეფარა ბურთს, ხელიც შეაშველა. წამები კიდევ გავიდა და გაისკა მენდიეტას პენალტი მესამე წუთზე გატანილად ჩაიწერა ოქმში.

ახლა ვთქვათ, რას ნიშნავს ჩემპიონთა ლიგის ფინალში მესამე წუთზე გატანილი გოლი. მატჩის დასრულებამდე 87 წუთით ადრე ბევრისთვის ეს არაფერია. მაგრამ არა „ვალენსიასთვის“ თუნდაც პრიმერადივიზიონი ავიღოთ, სადაც განვლილი 35 ტურიდან კუპერის ბიჭებმა მხოლოდ თოთხმეტში გაიტანეს ორი ან მეტი გოლი და ამდენივე ისე დაასრულეს, სანტიაგო კანისარესის კარის ბაღე არ შერხეულა. ამით ერთი რამის თქმა გვსურს — ექტორ რაულ კუპერის კრედო სწორედ მინიმალურ ანგარიშზეა გათვლილი და მეტის პრეტენზია არც აქვს. „ბაიერნი“ კი ვალდებული იყო, გაეტანა და მეტოქეს მიაწვა. ისე, ეს არც იყო მიწოლა, რადგან ეს სიტყვა სახიფათო მომენტების სიმრავლეს ნიშნავს და არა უბრალოდ მოწინააღმდეგის საჯარიმოს შორიახლოს ტრიალს, რის მეტსაც გერმანელები ვერ ახერხებდნენ. ტყუილად როდია, რომ „ბაიერნიც“ და „ვალენსიაც“ უფრო თავისი გაუვალი დაცვით არიან განთქმულნი, ვიდრე თავდასხმით.

მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ, ვალენსიელებმა ორი პენალტის მომტანი შეცდომა დაუშვეს. არადა, ერთიც არ იყო ისეთი დარღვევა, რამით გამართლება რომ შეიძლებოდეს. პირველ შემთხვევაში, მენდიეტას გოლიდან ოთხ წუთში, ჯოსელინ ანგლომამ წააქცია შტეფან ეფენბერგი. აქ საყურადღებო ისაა, რომ ბავარიელთა კაპიტნის გარღვევა მარცხენა ფლანგზე სულაც არ იყო კანისარესისთვის განსაკუთრებული ხიფათის მომტანი. ანგლომას ფეხი რომ არ დაედო, ეფენბერგი წინ გაგდებულ ბურთს ეგებ ვერც დასწეოდა და თუ დაეწეოდა, მეტისმეტად მახვილი კუთხიდან მოუწევდა დარტყმა.

ამ ეპიზოდში ვეტერანი ფრანგის, ჩემპიონთა ლიგის ერთხელ უკვე მომგების შეცდომა მეჰმეთ შოლმა და სანტიაგო კანისარესმა გამოასწორეს — პირველმა პენალტი უხეიროდ დაარტყა, მეორემ კი კარგად მოიგერია. გაოცებას იწვევს, გადაულოცა პენალტის დარტყმების უფლება ეფენბერგმა შოლს.

მეორე ეპიზოდში, უკვე მეორე ტაიმში, ამადეო კარბონმა კარეტენიერთან თავსაბრძოლებელ ბურთზე ხელი გაარტყა და ოკ იოლმა მატჩში მესამე მეტი მიუთითა — ერთ-ერთმა ბავარიელმა ნინულისკენ. არც ეს იყო ის შემთხვევა, როცა ვალენსიელს მიუხენელის იერიშის შესაჩერებლად ხელის ხმარების გარდა სხვა გზა არ დარჩენოდა. უბრალოდ, არ გაუმართლა — იანკერისგან შევიწროებულმა ხელი განზე გაწია და ბედად ბურთმაც ამ დროს ჩამოიქროლა...

დაარტყა იმან, ვისაც უნდა დაერტყა — შტეფან ეფენბერგმა.

თამაში ისევე გაგრძელდა, როგორც იქამდე იყო — „ბაიერნი“ უტევდა, „ვალენსია“ თავს იცავდა, მაგრამ გერმანელთა შეტევები კვლავაც ულიმლამო იყო. ასე მიილია 90 წუთი, წამატებული სამიც და ოქროს გოლის ამაო მოლოდინში დამატებითი ნახევარი საათიც.

თუმცა მანამდემდე შეცვლებიც მოხდა, რაშიც ოტმარ ჰიცფელდმა აშკარად დაჯაბნა ექტორ კუპერი. კარსტენ იანკერს გამოსვლამ, უკვე ვთქვით, „ბაიერნს“ პენალტი მოუტანა, ხოლო ხუან სანჩესის ზლატკო ზაჰოვიჩით ჩანაცვლებამ „ვალენსიას“ ვერაფრით არგო — სლოვენიელმა ერთი მშვენიერი მომენტიც გააფუჭა და პენალტებშიც...

დადგა პენალტების სერიის ჯერიც.

პაულო სერჟიო — ბურთი ხარიხას გადააფრინდა. ვერც შოლმა ივარგა და ვერც მისმა შემცვლელმა. ესპანელები წინასწარ ზეიმობენ გამარჯვებას. ხელს ეგებ რობერტო ბაჯოს ასეთივე დარტყმული გაახსენდა ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში. 0:0.

გაისკა მენდიეტა — მარჯვენა კუთხეში ურტყამს, კანი კი მარცხნივ ხტება — 0:1. ჰასან სალიჰამიჯიჩი — რა მოხდებოდა, ამასაც რომ ვერ გაეტანა? — 1:1.

იონ კარეუ — კაპიტნის მსგავსად ესეც მარჯვნივ ურტყამს — 1:2.

ალექსანდრ ციკლერი — 2:2.

ზლატკო ზაჰოვიჩი — ნაღდად არ იყო მისი საღამო. მატჩში ერთხელაც ვერ მოიქნია ფეხი წესიერად და სერიაშიც ასევე გააგრძელა. „ვალენსიამ“ მეორედ გაუშვა ხელიდან უპირატესობა — 2:2.

პატრიკ ანდერსონი — ესეც „ვალენსიას“ მესამე შანსი. შვედმა მიუნხენელებს ბუდესლიგა მოაგებინა, ამ მატჩში კი ჯერ პენალტი აიკიდა, მერე ვერ გაიტანა — 2:2.

ამადეო კარბონი — ანდერსონის წაბაძვით, პენალტის ამ ამკიდებელმაც კანს დაუმიზნა — 2:2.

შტეფან ეფენბერგი — კაპიტნის დარტყმული და ლამის მარცხენა ძელს გასახუნებული ბურთი გვარწმუნებს, რომ იდეალურ შესრულებაც პენალტს ვერცერთი მეკარე ვერ აიღებს — 3:2.

რუბენ ბარახა — სერია პირველ აცილებამდე გრძელდება — 3:3.

ბიქსენტ ლიზარაზუ — კანისარესი უძლურია და თუ კილი ააცილებს, თასი მიუხენშია — 4:3.

კალი გონსალესი — ისეთივე დარტყმა, როგორიც ეფენბერგისა, ოღონდ მარჯვნივ — 4:4.

თომას ლინკე — გოლი. როდემდე უნდა გაგრძელდეს სერია — 5:4.

მაურისიო პელეგრინო — ეს არც კუთხეში დარტყმა იყო და არც ცენტრში, არც მაღალი და არც დაბალი, რაღაც ამათ შორის და ბურთი ოლივერ კანის ხელებში აღმოჩნდა — 5:4.

სერია დამთავრდა.

ექტორ კუპერი: „ჩვენ ისევ წავაგეთ...“

ფრანც ბეკენბაუერი: „პენალტების სერია ალბათობაა, მაგრამ მოგება დავიმსახურეთ. კანი გმირია!“.

მთელი მიუნხენი ხარობს, თუმცა ინგლისურ სტეფორდშირში ერთი კაცი გვეგულება, რომელსაც ალბათ ყველაზე მეტად უხარია — ტოტალიზატორში თოთხმეტი თამაშის შედეგი გამოეცნო და მეთხუთმეტეს ელოდა. 30 ჰენსში ნახევარი მილიონი გირვანქა მოიგო.

ზიორგი დარჯანია

10 ტური

საქართველოს უმაღლესი ლიგა 12 ჩემპიონატი
მეორე ეტაპი

I–VI ადგილები

დინამომ ბრინჯაო დაიცვა

ყოჩაღ, მოლჩენკო! მსაჯები კარგად გარბიან

ვიტ ჯორჯია 0:0 დინამო

ვიტ ჯორჯია: ტურაძე, საჯაია (ადამია 65), ჭანკოტაძე, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, ლ. ნოზაძე, დიღმელაშვილი, გოგობერიშვილი, ყიფიანი, ვ. გოჩაშვილი (გიორგი ქორიძე 3, ნუნუანა 77), მელქაძე

სათადარიგო: მურლანი, ინწკირველი, დ. დოლიძე, გოცირიძე

დინამო: ბათიაშვილი, სვანაძე, შაშიაშვილი, მაზიაშვილი, კანდელაკი, მანწკავა, გაბიდაური (ლ. შელია 80), ბურდული, ა. სახვაძე, იაგორაშვილი (თუთაიაშვილი 65), ზარაქიშვილი (ტ.ჯ. მიქაძე 56)

სათადარიგო: გურგენიძე; ი. შენგელია, თ. მაისურაძე, მიკუჩაძე

გაფრთხილება: იაგორაშვილი (37), მუჯირი (38), მანწკავა (63), დიღმელაშვილი (76), ყიფიანი (88), სახვაძე (90), მელქაძე (90)

გაძევება: ყიფიანი (89)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

სუფთ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

სერგო კვარაცხელიამ დაუსტვინა და გაიქცა–

ბაჩო ძიძილაძის ფოტო

მამუკა კვანტალიანი მცხეთიდან

„ვიტ ჯორჯია“ ადრევე შეგუებული იყო შარშანდელი ტიტულის დაკარგვას. ვეტერინარებმა ვიცე-ჩემპიონობა „ლოკომოტივს“ მაშინ გადაულოცეს, როცა რკინიგზელებმა „არმაზიდან“ ქულა წაიღეს.

ვიტელებს ევროსაგზური განაღდებული ჰქონდათ, მაგრამ იმავ „ლოკომოტივის“ წყალობით ინტერტოტოზე გაცილებით პრესტიჟული ევროსაგზურის მოპოვების შესაძლებლობა გაუჩნდათ. უეფას თასის გათამაშებაში მოხვედრის შანსი „ვიტ ჯორჯიამ“ გუშინ გაუშვა ხელიდან. მცხეთაში ფრედ ნათამაშევმა მატჩმა გზა „დინამოს“ გაუხსნა. ათგზის ჩემპიონი მეორედ დაეუფლა ბრინჯაოს.

გუშინდელი მატჩი არცთუ სახარბიელო სანახავი, ფაქტობრივად დაბალტემპიანი, მაგრამ დაძაბული გამოდგა. მოედანზე ვნებათაღელვამ პიკს თამაშის დამთავრების შემდეგ უწია. მსაჯ სერგო კვარაცხელიას თავის გადასარჩენად გაუხდა საქმე, თუმც სამ წუთში ემოციები დაცხრა. დარჩა მხოლოდ დინამოელთა სიხარული და ვიტელთა მწუხარება.

ვეცდები, მთელი თამაშის ავანჩავანი მოგახსენოთ, დანარჩენი კი მკითხველისთვის მიგვინდია. განსასჯელი კი ფედერაციამ და ქომაგმა განსაჯოს.

დინამო

მე თუ მკითხავთ ბრინჯაოს ღირსეული პატრონი ჰყავს. ახლა იმაზე მარჩიელობის დრო არ არის, ვინ როგორ და რანაირად მოაღწია გუშინდლამდე. დაშლის პირას მდგარმა ახალგაზრდულმა გუნდმა პრიზიორობა მოახერხა და ეს ფაქტი ბევრზე მეტყველებს.

გუშინ სიურპრიზს გვპირდებოდა „დინამოს“ თავკაცი გოჩა ტყებუჩა. ათგზის ჩემპიონთა ქმედებებში ახალი, ალბათ, ოთხი მცველით თამაში იყო. სხვა სიახლე სტუმართა რიგებში ვერ დავინახე. დინამოელები ისევ ხისტად თამაშობდნენ და მათი ნაქები პრესინგიც მხოლოდ საკუთარ ნახევარზე, უფრო სწორად, საჯარიმოს შორიახლოს გამოიყენებოდა.

შედარებით ინერტული იყო სტუმართა შუა ხაზი. ვერ დავიჩემებ, ტყებუჩავამ მხოლოდ ერთი თავდამსხმელით თამაში ირჩია-მეთქი, მაგრამ კოჭმტკივან ზარაქიშვილს, ასევე ნაავადმყოფარი იაგორაშვილი დიდად ვერ შველოდა.

ბრინჯაოს ქულა ისევ უკანა ხაზის დალაგებულმა და საზრიანმა თამაშმა მოიპოვა. ტყებუჩავა დიდ რისკზე მიდიოდა, როცა კარი კარგა ხნის უთამაშებელ ბათიაშვილს ანდო, მაგრამ მწვრთნელს სხვა არჩევანიც აღარ ჰქონდა, გრიშიკაშვილი ტრავმირებული ჰყავდა, ხაჩირაშვილი თამაშის წინა დღეს ავად გაუხდა. ტყებუჩავამ სულ გამოუცდელ გერგედავას ისევ ბათიაშვილი ამჯობინა. უთამაშებელმა შეკარემ გაამართლა და ორჯერ კარიც იხსნა გოლისგან.

„დინამოს“ მასპინძლებისთვის თითქმის არ შეუტევია. ვიტელთა კარისკენ სახიფათოდ ერთხელღა დაარტყეს სტუმრებმა და ისიც ჯარიმიდან. მაზიაშვილმა მკირედით ააცილა ბურთი ჭურაძის კარს.

ტყებუჩავას აქტივში ჩავუთვალოთ ისიც, რომ „ვიტ ჯორჯიას“ ბომბარდირს პერსონალური მეურვე მიუჩინა. მელქაძე შაშიაშვილმა გამოთიშა თამაშიდან. გიორგიმ თითქმის ყველა საჰაერო დუელი მოუგო ლევანს და არც ფეხით მისცა გასაქანი.

მხოლოდ ერთხელ დაარტყა მელქაძემ სახიფათოდ. ერთხელღა მოახერხა მეურვეს დასხლტომოდა, მაგრამ „დინამო“ მაზიაშვილმა იხსნა. კარში მიმავალი ბურთი კუთხურზე მოიგერია.

ერთი სიტყვით, „დინამომ“ ქულის მოსაპოვებლად ყველა საფეხბურთო ხერხი გამოიყენა, დროის გაყვანის და წვრილ-წვრილი ეშმაკობების ჩათვლით.

ვიტ ჯორჯია

უკვე ყოფილ ვიცე-ჩემპიონს გუშინ ცუდად არ უთამაშია, მაგრამ ეს არ იყო მათი საუკეთესო მატჩი. „ვიტ ჯორჯიამ“ მთელი 90 წუთი შეტევებში გალია, თუმც გადამწყვეტი შტურმი მაინც ვერ მოუწყო მეტოქეს.

მასპინძლებმა შექმნეს სამი საგოლე მომენტი, ბევრჯერ დაარტყეს მეტოქის კარში და კარისკენ, მაგრამ ვერ იხეირეს.

თითქოს კარნევალიმ ყველაფერი სწორად გამოიცნო. დასაწყისიც აგრესიული გამოუვიდათ მასპინძლებს, მაგრამ იტალიელმა რა იცოდა, გოჩაშვილი თუ მესამე წუთზევე დაემტვრეოდა. „ჟომსკიმ“ ბათიაშვილთან შეჯახებისას ტვინის შერყევა მიიღო და შესაცვლელი შეიქნა. მას ოცდღიანი წოლითი რეჟიმი ელის.

მწვრთნელმა მოედანზე ქორიძე გამოუშვა და, ჩემი აზრით, ეს იყო მისი ერთადერთი შეცდომა. არა იმიტომ, რომ გიორგიმ ორი საგოლე მომენტი ქარს გაატანა, შეცდომა სულ სხვა იყო. ქორიძეს სათამაშოდ სივრცე სჭირდება. დაბურული, მჭიდრო ბურთაობაში უმწეო ჩანს. ამასთან გიორგი სუსტია თავით თამაშისას. კარნევალის გოცირიძე რომ გამოეყვანა, მეორე სართულზე უპირატესობა ექნებოდა. ყველა საჰაერო დუელი „დინამოს“ საჯარიმოში, რომელიც ძალიან მრავლად იყო, შაშიაშვილის გამარჯვებით ვერ დამთავრდებოდა. გოცირიძეს უპირატესობა ექნებოდა დანარჩენ დინამოელ მცველებთანაც.

ბოლოს „ვიტ ჯორჯია“ უსისტემოდ უტევდა. უფერულად ითამაშეს საჯაიამ და გოგობერიშვილმა და მათი მდგომარეობიდან გამომდინარე ეს არც იყო მოულოდნელი. საკუთარ თავს არ ჰგავდნენ ჭანკოტაძე და დიღმელაშვილი. ვერ გაისწორეს სამიზნე ყიფიანმა და მუჯირმა.

დარჩა უპირატესობა „ვიტ ჯორჯიას“, ხოლო ბრინჯაო „დინამოს“. საერთოდ ვიტელები ამ სეზონში ექვსჯერ შეებნენ ათგზის ჩემპიონებს. მხოლოდ ერთი წაგო „ვიტ ჯორჯიამ“. დანარჩენ ხუთ მატჩში ტოლი არ დაუდვია „დინამოსთვის“ და თასიდანაც ვეტერინარებმა დაიფრინეს ტყებუჩავას ბიჭები, მაგრამ ეს მშრალი ციფრებია. რეალურად „დინამო“ დარჩა მოგებული.

მსაჯი

ანატოლი მილჩენკომ დაიკეხოს, მსაჯები მომიმზადებიაო. სერგო კვარაცხელიამ კი საკუთარ ფეხებზე ილოცოს. რომ არა სწრაფი სირბილი, ვგონებ, ფიფას ზუგდიდელ არბიტრს გვარიანად მოხვდებოდა.

მისცა თუ არა საფინალო სასტვენი, კვარაცხელიას ვიტელები შერეულვივნენ და რაღაცას ემართლებოდნენ. თანამსაჯებმა და სათადარიგო არბიტრმა თითქოს დაამოშაენ. მასპინძლები, ძაგრამ ვიტელთა სათადარიგო დაკთ ლოლიძე და ერთ-ერთი მწვრთნელი ზურაბ ბერიძე მსაჯს გამოუდგნენ და კვარაცხელიამაც ისე მოკურცხლა, მდევარი არ მიიკარა. პოლიციამ დაგვიანებით, მაგრამ მაინც აღკვეთა ინციდენტი. მერე მშვიდობამ დაისადგურა.

რაში ამტყუნებდნენ კვარაცხელიას? სხვათა შორის, მსაჯობით უკმაყოფილო იყო ორივე მხარე, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ბევრ სადავოსაც ვერ უპოვნიან ზუგდიდელ არბიტრს.

კვარაცხელიას სასაყვედურო შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა მიკარებაზე ჯარიმა დანიშნა. ამით გუნდებს ძალისმიერი თამაშის შანსი წაართვა.

მსაჯი ვალდებული იყო, რამდენიმე დინამოელი გაეყვითლებინა დროის გაყვანის მცდელობისთვის, რაც მრავლად იყო გუშინდელ შეხვედრაში.

88-ე წუთზე გაუგებარი იყო მსაჯის ქმედება. ბურთი აუტში გადავარდა, კვარაცხელიამ ჯერ გვერდითს გახედა, უჭირდა გადაწყვეტილების მიღება. ფეხბურთელებმა ვერ გაარკვიეს, ვის ეკუთვნოდა ბურთი. მერე მსაჯმა გაუბედავი ჟესტით თითქოს „დინამოს“ მიაკუთვნა აუტი, მაგრამ ბურთი თამაშში ვიტელებმა შეიყვანეს და არეულობით დაბნეულმა ყიფიანმაც ხელით ითამაშა. კვარაცხელიამ ჯარიმა დანიშნა და უთანხმოებაც დაიწყო. ყიფიანმა ემოციები ვერ მოთოკა და წითელი ბარათიც მსაჯთან ძიგილაობის გამო მიიღო.

სხვა განსაკუთრებული შეცდომა მსაჯს არ მოსვლია, მაგრამ ზემოთ ნათქვამიც არ გახლავთ სასიკეთო და მისასალმებელი არც ვიტელთაგან და არც მსაჯისგან.

გოჩა ტყებუჩავა, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი: რაც ჩემპიონატის წინ დავგეგმეთ, გუნდმა იმას მიაღწია. ამერიდან წინსვლაზე ვიფიქრებთ. „ლოკომოტივთანაც“ ოთხი მცველით რომ გვეთამაშა, დღეს ასეთი დაძაბულები არ ვიქნებოდით. ვაღიარებ, შევცდით, მაგრამ ახალგაზრდული გუნდი ვართ და თანდათან ვსწავლობთ.

...ბევრი ტრავმირებული გვყავდა. ზარაქიშვილმა და იაგორაშვილმაც იმიტომ ითამაშეს, რომ გუნდის ინტერესები მოითხოვდა.

...მსაჯებზე ლაპარაკი არ მწყვია, თუმც ვიტყვი იმას, რომ ამდენმა ჯარიმამ თამაშს თავისი დაღი დაჩნია. ევროპაში ასე არც ერთი მსაჯი არ დაუსტვენს, ამიტომაც უჭირთ ევროსარბიელზე ჩვენს ფეხბურთელებს.

ჯანი კარნევალი, „ვიტ ჯორჯიას“ მთავარი მწვრთნელი: ჩვენ მთელი 90 წუთი შეტევაში გავატარეთ. „დინამოსთან“ ასე თამაში კი ძალიან ძნელია. გვქონდა მომენტები და ვერ გამოვიყენეთ. აი, ეს არის მთავარი პრობლემა.

მსაჯმა ჩასტვინა, დააფიქსირა წესის დარღვევა, ესე იგი მორჩა, კამათს აზრი არა აქვს. ეტყობა, ეს უნდა ავუხსნა ჩემს ფეხბურთელებს. მსაჯობაზე მეტის თქმა არ მწყვია. ყველაფერი რომ დამთავრდა, მე მათ მადლობა გადავუხადე.

ბაჩო ძიძილაძის ფოტო

გოჩა ტყებუჩავა

ბაჩო ძიძილაძის ფოტო

ვიტელ ლევან მელქაძეს გიორგი შაშიაშვილმა გასაქანი არ მისცა

ბაჩო ძიძილაძის ფოტო

ჯანი კარნევალი

პასის გაკვეთილები

ისწავლეთ ინჩი-ბინჩი ანჩაბაძისგან

თბილისი
23 მაისი
18 საათი
26 მაისი
1 500 (ტევადობა 35 000)

ლოკომოტივი 1:0 ბორჯომი

1:0 გოგიჩაიშვილი (34)
ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ცხადაძე (დათვაძე 58), სალუქვაძე, ონიანი, შ. ლაცაბიძე (ბაქრაძე 32), გილაური, ჭიჭვეიშვილი, გოგიჩაიშვილი, ანჩაბაძე, კიდარაშვილი (ბუნგელია 73)
სათადარიგონი: ასლანაძე; ბარამონოვი, მანჭარაული, გოგნაძე
ბორჯომი: ზოიძე (ტოგონიძე 46), ლეკვან სილაგაძე, თოდუა, ვაშაკიძე, აბრამიძე, ქემოკილიძე, გურუა (კვეტენაძე 38), ასათიანი, მახვილაძე (ჯინჭარაძე, 43), აშვეთია, იმედაძე
სათადარიგონი: არჩვაძე, გონჩაროვი, ბობოხიძე, ახალკაცი
მსაჯები: ზ. ანიაშვილი (ბორი), ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე; მ. მალალურაძე (სამივე თბილისი)
სწფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

დავით თავართქილაძე

პრინციპული გამოდგა მატჩი. „ლოკომოტივს" მხოლოდ გამარჯვებით ჰქონდა გარანტირებული მეორე ადგილი, ჩემპიონისთვის უნდა მოეგო. „ტორპედოც" მონდომებული გახლდათ. ქუთაისელთა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე უდავოა, თასის ფინალისთვის დასვენეს და მათი დუბლიორებიც ერთობ რიგიანად გაისარჯნენ — ფინალში სათამაშოდ თავის მოწონება სურდათ მწვრთნელებისთვის.

„ლოკომოტივმა" აქტიური ფეხბურთი გააჩაღა, ასე ვთქვათ, თამაშით მოუგო მეტოქეს, არაორდინალური ტაქტიკა-სტრატეგიის გარეშე. ქუთაისელებმა კი რკინიგზელთა წამყვან მოთამაშეებს პერსონალური მეურვეები არ მიუჩინეს და ალბათ შეცდნენ კიდეც. გივი ნოდიამ 5-3-1-1 აირჩია, გამოკვეთილი ცენტრფორვარდი, რა თქმა უნდა, კიდარაშვილი იყო, ხოლო ოდნავ უკან გოგიჩაიშვილი მოქმედებდა. საგაზაფხულო ეტაპზე, როცა „ლოკომოტივს" რევაზ ძოძუაშვილი წვრთნიდა, გოგიჩაიშვილს ფაქტობრივად გამთამაშებლად უწევდა თამაში. ვეტერანი ფეხბურთელი მაშინ უფრო კარგად გამოიყურებოდა, თუმც მხოლოდ პოზიციით არ იყო ეს გამოწვეული, რადგან ნოდიას მისთვის მოქმედების არე არ შეუზღუდავს. გუშინ კი ნოდიას „ლოკომოტივში" გოგიჩაიშვილმა საუკეთესო მატჩი ითამაშა. პირველ ტაიმში მისი კარგი გარჯა სავსებით საკმარისი და ნაყოფიერი აღმოჩნდა.

ბრწყინვალე იყო გიორგი ანჩაბაძე — პასის მაღალი კულტურა, ვარდნაში ართმევაზე თამაში და შეუპოვრობა.

მატჩის დებიუტი „ლოკომოტივისა" იყო. ჭიჭვეიშვილმა ხელებში დაურტყა ზოიძეს, მერე გოგიჩაიშვილის ფლანგურ ჩაწოდებას ანჩაბაძემ შეაგება თავური, მაგრამ ის ძლიერი არ იყო და ზოიძემაც სწორად შეარჩია პოზიცია. შემდეგ „ტორპედოს" ჯერი დადგა. ასათიანის ჩინებული გადაცემით აშვეთიას მიეცა შანსი, თუმცა ლომაიამ ივაჟკაცა.

თამაში კვლავ „ლოკომოტივის" კარნახით წარიმართა. მოედნის ცენტრში ანჩაბაძემ მოიხელთა ბურთი და ფილიგრანული პასით გოგიჩაიშვილი ზოიძეს შეატოვა, — ასეთი გადაცემის ვერგამოყენება საცოდაობა იქნებოდა და გოგიჩაიშვილმაც შეაგდო.

„ტორპედომ" მყისვე მოინდომა საკადრისი პასუხი, როცა აშვეთიამ სამი მცველი ოსტატურად ჩამოიცილა, ლომაიამ კი ძნელი ბურთის ფეხით მოგერიების არაჩვეულებრივი უნარი გამოამჟღავნა.

ტაიმის ბოლოს კვლავ მასპინძლებს მართებდათ გოლის გატანა. ანჩაბაძემ ერთობ მოუხერხებელი სიტუაციიდან ამჯერად კიდარაშვილს უბოძა ჩინებული პასი, თუმც ფორვარდმა არაზუსტი ცაცია მიაყოლა.

„ტორპედო" გასახდელში არ გასულა, რადგანაც ძოძუაშვილმა მინდორზევე დამძღვრა გუნდი და ალბათ კარგადაც შეუფუცხუნა შეგირდებს.

ქუთაისელებმა მარწუხებს მოუჭირეს, ანჩაბაძე-გოგიჩაიშვილი კარგად შებოჭეს, აგრესიულობას უმატეს. გივი ნოდიამ კი დათვაძე შეუშვა მოედანზე, იქნებ კონტრშეტევებზე ავაგო თამაშიო. ვერ ვიტყვით, რომ დათვაძე ცუდად ჩაერთო, მაგრამ უბერეოდ უფრო მეტი მოძრაობა მართებდა.

სტუმრებმა დაახლოებით თხუთმეტწუთიანი შტურმისმაგვარი მოუწყვეს „ლოკომოტივს", მაგრამ ლომაია ძალიან თავდაჯერებულად იდგა კარში, თანაგუნდელ მცველებს ნერვიულობის საფუძველს არ აძლევდა და გაუძლეს რკინიგზელებმა. თუმც ერთხელ ფორტუნამაც გაულიმათ — კვეტენაძის ოცოდე მეტრიდან გასროლილმა ხარიხა შეაზანზარა.

ამის მერე თამაში გათანაბრდა. „ლოკომოტივმა" ისევ და ისევ ანჩაბაძის კარგი თამაშის წყალობით რამდენიმე მწვავე იერიში განახორციელა. „ტორპედო" არ დანებებულა, ოღონდ, მედგრად ვეღარ უტევდა, დიდი წნეხის ქვეშ ვეღარ აქცევდა მეტოქეს. და კვლავ აშვეთია-ლომაიას დუელი — ასათიანმა ქუსლით მოხდენილად დაუგორა თავდამსხმელს, ძლიერად დარტყმული მეკარის საკბილო შეიქნა.

ბოლო წამებზე კი გიორგი შენგელიას უნდა ეყოჩაღნა. ისიც ანჩაბაძემ შეატოვა მეკარეს პირისპირ, თუმც ეშმაკურ ჩანაფიქრს ტოგონიძე მიუხვდა, მაღალ ბურთს თითები წაატანა და ხარიხას გადაავლო.

ტორპედოელი გიორგი იმედაძე და ლოკომოტიველი დავით ბაქრაძე

გურამ დულანდაშვილის ფოტო

„ტორპედომ" მოედანი შესვენებაზეც არ დატოვა

გურამ დულანდაშვილის ფოტო

უმაღლესი ლიგა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ტორპედო	10	6	2	2	15:7	8	44	5	4	1	0	12:2	10	13	5	2	1	2	3:5	-2	7
2 ლოკომოტივი	10	3	4	3	8:9	-1	41	5	2	3	0	7:4	3	9	5	1	1	3	1:5	-4	4
3 დინამო	10	3	5	2	13:9	4	38	5	2	2	1	9:5	4	8	5	1	3	1	4:4	0	6
4 ვიტ ჯორჯია	10	4	4	2	14:9	5	35	5	3	2	0	7:1	6	11	5	1	2	2	7:8	-1	5
5 კოლხეთი	10	2	2	6	10:19	-9	24	5	2	1	2	5:4	1	7	5	0	1	4	5:15	-10	1
6 მერანი	10	1	3	6	2:15	-13	19	5	2	1	2	2:7	-5	4	5	0	2	3	0:8	-8	2

მერე რა, რომ ჰენალტია?

ფოთი
23 მაისი
18 საათი
ფაზისი
500 (ტევადობა 6 500)

კოლხეთი 0:0 მერანი

ხუციშვილმა ვერ გაიტანა ბენალტი (26, მეკარე)
კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია (ხუჭუა 32), ნარსია, აკობია, ქობულაძე, ფანწულიძე, ჯორჯველია, ღლანინე (ქანტურიძე 72), ნიფლივაძე, ბ. ბაჩილავა (შავგულიძე 33), მუშლაძე
სათადარიგონი: ქვაჩახია; ნადარაია
მერანი: ნაჭყებია, ილურიძე, გუჯაბიძე, ხუჯაძე, მუხინი, ბაჯელიძე, ბოლქვაძე, კოშკაძე (თოლორდავა 85), ხუციშვილი, კრავეიშვილი, მინაშვილი
სათადარიგონი: ჯორჯიშიძე; გოფურიშვილი, კეკენაძე
გაფრთხილება: ბოლქვაძე (28)
მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); კ. მესხი (ზუგდიდი)
სწფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაშავა

გოჩა ჯანანია ფოთიდან

ზეიქვსეულის ბოლო ორ ადგილზე მყარად გამაგრებული „კოლხეთისა" და „მერანის" შეხვედრას პლეი ოფის პირველი წრის თბილისური მატჩი სძენდა ინტერესს. მაშინ „კოლხეთის" გამარჯვებას სფფ-მ ყადაღა დაადო, ამ თამაშში ფეირ პლეის პრინციპები დაირღვაო. გეხსომებათ, სკანდალიც დიდი მოჰყვა ამ ფაქტს და სანქციებიც.

უგოლო ფრისას გამოუყენებელი პენალტი თითქოს იმ გუნდის მეტ-ნაკლებ უპირატესობაზე მეტყველებს, რომელმაც ეს შანსი ხელიდან გაუშვა. „მერანმა" 26-ე წუთზე ანგარიშის გახსნის ეს ჩინებული შესაძლებლობა გაატანა ქარს, მაგრამ „კოლხეთს", თამაშიდან გამძღინარე, უფრო შეეძლო მოგება.

პირველ ტაიმში კოლხებს გაუჭირდათ ინიციატივის ხელში ჩაგდება და ტაიმი თანაბარ ბრძოლაში გაილია. საგოლე მომენტიც ერთი-ორი თუ შეიქმნა. პირველად ასეთი შანსი სტუმრებს მიეცათ, მაგრამ კრავეიშვილმა პირისპირ შერჩენილ გვასალიას ვერაფერი დააკლო.

კოლხებმა პასუხი ტაიმის შუაში გასცეს. ფანწულიძის ჩაწოდებულ კუთხურს შორეულ ძელთან წივწივაძე ჩაუსაფრდა და ხუთიოდ მეტრიდან თავურიც დაჰკრა, მაგრამ ბურთი ძელს გაარტყა.

სამიოდ წუთში კი კრავეიშვილმა ვოროზიას პენალტი დასტყეა, მაგრამ ხუციშვილმა შანსი ხელიდან გაუშვა. მამუკა გვასალიამ მერანელს კუთხეც გამოუცნო და ბურთიც ხელებში ბაიქვა.

მეორე ტაიმში კი „კოლხეთი" გაცილებით ბრძოლისუნარიანი ჩანდა და ადვილი შესაძლებელი იყო, მატჩიც მოეგო, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. საგოლე მომენტები მასპინძლებს უფრო ბოლო 20 წუთში ჰქონდათ. ორჯერ წივწივაძეს მართებდა გატანა, ორჯერვე ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთეე თავური დარტყმით, მაგრამ ორივე არაზუსტი გამოუვიდა.

ყველაზე რეალური შანსი „კოლხეთს" მაშინ მიეცა, მსაჯმა ორი წუთი რომ დაამატა. ჭანტურიძემ კარის ბადეც შეარხია, მაგრამ გარედან. სულ ბოლოს კი ჯერ ნაჭყეპიამ აუღიო ძნელი ბურთი შავგულიძეს, დამატებულზე კი ჭანტურიძის დარტყმას მუხინი გადაეღობა კარის ხაზზე.

საქართველოს პირველი ლიგა 12 ჩემპიონატი ლიგა ეტაპი
10 ტური

VII-XII ადგილები

თორი 1:1 ივერია

ოკეანე 3:0 თბილისი
„თბილისი" არ გამოცხადდა, „ოკეანეს" ჩაეთვალა მოგება

ხობი 3:0 ზუგდიდი
„ზუგდიდი" მოხსნილია ჩემპიონატიდან, „ხობს" ჩაეთვალა მოგება

ხობი	10	6	1	3	18:10	32
ოკეანე	10	5	3	2	17:7	31
თორი	10	4	2	4	11:9	29
ივერია	10	5	2	3	23:9	25
თბილისი	10	4	0	6	7:15	21
ზუგდიდი	10	0	0	10	0:28	12

კონსტანტინ გალკა: რუმინელი ჯამარაული

საქართველოსი არ იყოს, ეტყობა, საქმე აწყობილ-დალაგებული არც რუმინეთის ნაკრებშია. ჯერ იყო და იტალიასთან ბუქარესტში თამაშისას რუმინელთა მწვრთნელს ლადისლაუ ბოლონის გერმანული „შტუტგარტის" თავდამსხმელმა იონელ განიამ უხამსი სიტყვა აკადრა და მწვრთნელმაც ის მობოდიშებამდე გუნდიდან მოკვეთა, ახლაა და რუმინეთის ნაკრებში თამაში „ესპანიოლის" ნახევარმცველმა კონსტანტინ გალკამ იუარა.

— გალკას ზუსტად ის პრობლემა აქვს, რაც ქართველ გოჩა ჯამარაულს. იგი ნაწყენია და ამას წინათ ესპანეთიდან შემოთვალა, მწვრთნელი ბოლონი ნუღარ შეწუხდება და ნაკრებში ნუ გამომიძახებს, მაინც არ ვარ ჩამომსვლელიო. გასაგებია ამ ფეხბურთელის, ბოლონი მას ნაკრებში გამოიძახებს და არ ათამაშებს — გვითხრა გუშინ ჩვენმა რუმინელმა კოლეგა ჰოლ ზაქარიამ და ისიც დაამატა, რომ შესაძლოა, მცველებმა — იონ ფილიპესკუმ და კრისტიან კივუმ 2 ივნისს ბუქარესტში უნგრელების წინააღმდეგ ტრავმების გამო ვერ ითამაშონო.

ძოგა ინასარიძე

ყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი №8, კინოთეატრ „სულიკოსთან"

ტოშაკი ხორხეს უთვალთვალებს

ნაკრების მწვრთნელებს ისევ ტრავმირებული ხომ არ ვგონივარ? იკითხა გიორგი დემეტრაძემ

გიორგი დემეტრაძემ კვლავ მოირგო სოსიედადის მაისურა

თითქმის ხუთთვიანი იძულებითი დასვენების შემდეგ პრიმერადივიზიონში კვლავ ითამაშა გიორგი დემეტრაძემ. წინა კვირას „სოსიედადმა" „მალაგა" 4:0 გაანადგურა და ჩვენებურმაც, რომელმაც ამ ხუთ თვეში მუხლის ორი ოპერაცია გაიკეთა, ბოლო რვა წუთი დაჰყო მოედანზე. მწვრთნელი ჯონ ტოშაკიც დაკმაყოფილა მისმა თამაშმა, თავადაც კარგ ხასიათზეა და თურმე „სოსიედადის" ქომაგებსაც ერთი ამბავი აუტეხავთ ტრიბუნაზე, როცა გიორგი დემეტრაძე შესაცვლელად ემზადებოდა.

— ვერ წარმოვიდგენდი, ხალხისგან ასეთ თანადგომას თუ ვიგრძნობდი — გვითხრა პრიმერადივიზიონში მოთამაშე პირველმა და ჯერაც ერთადერთმა ქართველმა — ტოშაკმა მოედანზე ჩემი შეყვანა რომ გადაწყვიტა და სათადარიგოთა სკამიდან წამომდგარს მარიგებდა, ლამის მთელმა სტადიონმა ჩემი სახელის ძახილი დაიწყო. მამხნევებდნენ და მეც ხუთთვიანი მკურნალობის შემდეგ თამამად ავთამაშდი.

— მერედა რას ფიქრობ, ბევრი გაკლია სასურველ ფორმამდე?

— ბევრი კი არა, ვგრძნობ და ეს მწვრთნელმაც მითხრა, ძალიანაც კარგ ფორმაში ვარ. ტოშაკი ცოტა არ იყოს გაკვირვებული დარჩა, ამდენი ხნის უვარჯიშებელმა ფორმა ასე მალე რომ აღვიდგინე. გუნდთან ერთად ვარჯიშის განახლებიდან ერთ კვირაში ამიტომაც შემიყვანა „მალაგასთან" მატჩის განაცხადში და მათამაშა კიდეც.

— აბა, მომავალ მატჩში „სარაგოსასთან" ძირითად შემადგენლობაში ითამაშებ?

— ეს ზუსტად არ ვიცი, თუმც დარწმუნებული ვარ, „სარაგოსას" წინააღმდეგ ვითამაშებ. ხუთი წუთი, ათი თუ მთელი მატჩი, ეს ტოშაკის გადასაწყვეტია. ისე, „სარაგოსასთან" თამაშს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ მოვიგეთ, სანერვიულო აღარაფერი გვექნება, პრიმერადივიზიონში დავრჩებით, თუ არა, ისევ გავარდნის კანდიდატები ვიქნებით.

— ტოშაკთან პირისპირ არ გისაუბრია?

— ბოლო დროს ერთხელ, ხუთი წუთი ვილაპარაკეთ. „მალაგასთან" მატჩის წინ ორმხრივი თამაში გვქონდა. ტოშაკმა იმ გუნდში მათამაშა, რომელიც „მალაგას" უნდა დაპირისპირებოდა. 2:0 მოვიგეთ, ერთი გოლი მე გავიტანე, ერთიც იანკაუსკასმა და მწვრთნელიც ამ საკონტროლო მატჩის შემდეგ მელაპარაკა. შემაქო, არ ველოდი, ორჯერ ნაოპერაციევი ასე უცებ თუ მომაგრდებოდიო. მაშინ მითხრა, რომ „მალაგასთან" რამდენიმე წუთს აუცილებლად მათამაშებდა.

— როგორ ფიქრობ, სეზონის ბოლომდე ძირითადში ითამაშებ?

— იმედი მაქვს. „სარაგოსას" შემდეგ ბილბაოს უნდა ვესტუმროთ, ბოლო ტურში კი „ოსასუნას" ვუმასპინძლოთ. რა ვიცი, ტოშაკი მეუბნება, რომ ამ ორ მატჩში ძირითადში მათამაშებს. მეც ვატყობ თავს, კარგ ფორმაში ვარ, უკვე შემიძლია, 90 წუთი ვითამაშო.

— „მალაგასთან" ნაოპერაციევ ფეხს საერთოდ არ შეუწუხებიხარ?

— ერთი-ორჯერ მეტოქემ მომარტყა ფეხი ამ მუხლზე და ოდნავ კი შევწუხდი, მაგრამ ეგ არაფერი. მატჩის შემდეგ ექიმებმა ერთხელაც გამსინჯეს და არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად არისო, მითხრეს. მეც სრული დატვირთვით ვვარჯიშობ. ახლაც, გუნდმა ვარჯიში რომ დაასრულა, ბაზაზე დავრჩი და საათნახევარი მარტომ ვივარჯიშე. არ ვიცოდი და, ტოშაკი თურმე მოფარებულიდან მიყურებდა. ვარჯიში რომ დავამთავრე, მერეღა გამოჩნდა.

— საქართველოს ნაკრებიდან არ შეგხმიანებიან?

— არა, ეტყობა, მწვრთნელებს აღარც ვახსოვარ და ისევ ტრავმირებული ვგონივარ. არადა, ძალიან კი მსურს, იტალიის წინააღმდეგ ვითამაშო. გამიხარდება ნაკრებში თუ გამომიძახებენ.

კობა ინასარიძე

საბედისწერო მომენტი: წამიც და გილაური გრიშიკაშვილს დააშავებს

სოსო აქცსენტიმ დაასვენა

გრიშიკაშვილი ორ თვეს ვერ ითამაშებს

— ფეხი მტკიოდა, მაგრამ მოედანზე დავრჩი, რადგანაც სათადარიგოთა სკამზე ჩემს შემცვლელად გამოუცდელი, 17 წლის ფეხბურთელი იჯდა და ასეთ პრინციპულ მატჩში მოედანზე დარჩენა ვამჯობინე. მერე კი გილაურს ტრავმირებულ ფეხზე მოუხვდა ფეხი და ტკივილისგან გავმწარდი — ეს თბილისის „დინამოს" მეკარე სოსო გრიშიკაშვილის სიტყვებია, რომელიც მან 17 აპრილის „ლოკომოტივ" — „დინამოს" მატჩიდან რამდენიმე დღეში, სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე თქვა და არასპორტული საქციელისთვის 50 ლარითა და ერთი მატჩით დაისაჯა.

მას შემდეგ „დინამომ" ერთი შეხვედრაც ჩაატარა და აგერ, გუშინ ჩემპიონატიც ჩაამთავრა, მაგრამ სოსო გრიშიკაშვილი 17 აპრილის შემდეგ გუნდის შემადგენლობაში არ გამოჩენილა.

არ ტყუოდა სოსო, როცა ამბობდა, ლოკომოტიველმა გილაურმა ნატკენ ფეხში ჩამარტყა და ამან გამამწარაო. გრიშიკაშვილს, თურმე მუხლი მაშინაც საოპერაციო ჰქონდა, მაგრამ გუნდის ინტერესებისთვის თავს ძალას ატანდა და ისე თამაშობდა. 17 აპრილს მან „ლოკომოტივთან" პრინციპული მატჩი მაინც შეუცვლელად ჩაატარა და მერე.. მერე ის საოპერაციო შეიქნა. ექიმებმა დიაგნოზიც ერთობ სამწუხარო დაუსვეს, მენისკის დაზიანებასთან ერთად მუხლის მყესებიც გაწყვეტილიაო. რაღა იყო საშველი და გრიშიკაშვილიც ექიმებს მიენდო.

მეკარეც ახლა დაახლოებით ორ თვეს იძულებით დაისვენებს. შესაძლოა, „დინამომ" უეფას თასის გათამაშება უგრიშიკაშვილოდ დაიწყოს.

კობა ინასარიძე

ლევან კობიაშვილმა გერმანიის ნაკრებს გაამარჯვებინა

კვირას, 20 მაისს, სპორტის სასახლისთვის უჩვეულოდ ადრე, 12 საათისთვის, იქაურობას საკმაო ხალხი მიაწყდა. მიზეზი სპორტულ-ვირტუალური გახლდათ — თბილისის ღია ჩემპიონატი კომპიუტერულ ფეხბურთში (SOCCER 2001).

დაიწყო ტურნირი და, შეჯიბრი რის შეჯიბრია, პირველი ტურის შემდეგ ნირწამხდარსაც და გახარებულსაც ბევრს ნახავდით. ახლობლის ქომაგობას და ემოციებს ხომ ნუ იკითხავთ — „ვახ", „აუუუ" და მისთანანი ბლომად იყო. მონაწილენიც, ზოგი ერთმანეთს ლამის პაპა-შვილიშვილადაც რომ ერგებოდა, ერთობ ღელავდნენ. შეჯიბრში ყველაზე პატარას, 8 წლის დათო ჯილიტაშვილს ღელვაც და ყოჩაღობაც კარგად დაუფასდა — მესამე ტურამდე მისულს პრიზად ტყავის ბურთი ერგო.

დაძაბულ ჯგუფურ ტურნირს ფინალიც საკადრისი მოჰყვა: ლევან კობიაშვილი გერმანიის ნაკრებით და გიორგი იოსავა ნიგერიელებით. ძალიან დრამატული, გოლი იქით, გოლი აქეთ თამაში იყო და ამ გერმანიამ აქაც არ მოიგო! გერმანელების „თავკაცმა" ლევან კობიაშვილმა 5:4 გაამარჯვებინა „თავისიანებს" და თბილისის ჩემპიონის წოდებასთან ერთად „I ჯოისტიკის" რეიტინგი, კომპიუტერული თამაშების ფედერაციის ფულადი ჯილდო და სააქციო საზოგადოება „ყაზბეგის" მიერ დაწესებული პრიზი მობილური ტელეფონიც მიიღო. საკადრისად დაჯილდოვდნენ მეორე და მესამე ადგილებზე გასული გიორგი იოსავა და ბაჩო გერგედავა.

შეჯიბრების ორგანიზატორები დიდად ემადლიერებიან ტურნირის სპონსორ „ყაზბეგს", სპორტის დეპარტამენტს, სპორტის სასახლეს და ტელეკომპანია პირველ სტერეოს.

გივი ძალანდაძე



ფინალურ მატჩს მაყურებელი არ აკლდა

1868 წლიდან: "მიხეილის" საქალაქო საავადმყოფო
1924 წლიდან: რესპუბლიკური საავადმყოფო პლეხანოვზე
1973 წლიდან: რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო ვაჟა-ფშაველაზე
2000 წლიდან: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის

ცენტრალური კლინიკა

მისამართი
380109. ვაჟა-ფშაველას 29
ტელეფონები
კანცელარია: 39 23 89
ცნობათა ბიურო: 39 22 89
მიმღები განყოფილება: 39 26 32

საუკუნოვანი გამოცდილება
უახლესი ტექნოლოგიები

დღეს იტალიის თასის ფინალი. პირველი მატჩი

პარმა — ფიორენტინა
პარმას პარმასი სჯერა

პარმელები ჩემპიონთა ლიგას და იტალიის თასს უმიზნებენ

დღეს პარმაში „ტარდინის“ სტადიონზე იტალიის თასის პირველი ფინალური მატჩია: „პარმა“ — „ფიორენტინა“ იტალიის დროით საღამოს ცხრის ნახევარზე ანუ საქართველოს დროით ღამის თორმეტის ნახევარზე დაიწყება.

მასპინძლებს, რომლებსაც სერია A-ში მეოთხე ადგილზე გასვლის რეალური შანსი აქვთ, რაც მომავალ სეზონიდან მათ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლებას მოუტანს, ცხადია, ქვეყნის თასის მოპოვებაც სურთ, ხოლო „ფიორენტინასთვის“ ეს ჯილდოს გარდა უეფას თასზე გასვლის გარანტიაც იქნება.

„ჩვენთვის თასის მოპოვება ძალიან მნიშვნელოვანია“ — ამბობს პარმელი ფაბიო ჟუნიორი, იტალიის პირველობის ბოლო ტურში „ინტერის“ კარში ორი გოლის გამტანი — „პირადად ჩემთვის კი ფინალი იმ დროს უწევს, როდესაც საგანგებოდ კარგ ფორმაში ვარ. ახლა უკვე ვიცი ასეთ შეხვედრებში როგორ უნდა ვითამაშო“.

იმედიანადაა არგენტინელი მატიას ალმეიდაც: „როგორც ჩანს უიღბლო სტარტიანი სეზონი იღბლიანი ფინალით სრულდება. კარგად მენიშნა — ახლახან მითხრეს, რომ არგენტინის ნაკრების მწვრთნელი მარსელო ბიელსა უახლოეს შეხვედრაში ჩემს გამოძახებას აპირებს.“

იოან მიკუ: „ერთი სული მაქვს ფინალამდე. მნიშვნელობა არა აქვს, პირველ მატჩში მოვიგებთ თუ დავმარცხდებით, მთავარია გოლი არ გავუშვათ. თუ არ გავუშვებთ, მეორე შეხვედრას გაცილებით რიხიანად ჩავატარებთ“.

ლილიან ტურამი: „რამდენიმე დღის წინ „ფიორენტინას“ ფორვარდმა, ენრიკო კიეზამ დიდებული რამ თქვა — თასის მოპოვება მინდაო, მაგრამ, ეს თასი „პარმასია“ და მეც ბედნიერი ვიქნები, რომ ჩვენი გამარჯვების და მათი დამარცხების მიუხედავად შეგობრებად დავრჩებით. მეორე მხრივ, ვიცი მისი კლასი და ამბიცია და ამას ერთი წუთით არ დავივიწყებ“.

სტეფანო ტორიზი: „მაგრამ „ფიორენტინა“ მხოლოდ კიეზა არ არის, მართალია მან 22 გოლი შეაგდო და დღესაც საუცხოო ფორმაშია, მაგრამ სჯობს თუ ჩვენ მთელ გუნდზე ვიფიქრებთ. შეხვედრას ხომ ერთი ფეხბურთელი არასდროს იგებს. ფაქტია, რომ „ფიორენტინა“ გამარჯვებისთვის ემზადება.“

როგორც ხედავთ, მასპინძლები მატჩისთვის დიდი მონდომებით ემზადებიან და მეტიც, საკუთარ თავს ფავორიტებად თვლიან. რით დაუპირისპირდება მათ „ფიორენტინა“ დღეს „ტარდინიზე“ გამოჩნდება, ჩვენ კი, თქვენი ნებართვით შეხვედრის არბიტრზე გეტყვით ორიოდ სიტყვას.

დღეს საღამოს, პირველ ფინალურ მატჩს ჯენარო ბორიელო გაუძღვება, რომელიც ამ სეზონში „ტარდინიზე“ მესამედ გავა. აქამდე მან სერია A-ს ორი შეხვედრა, „პარმა“ — „უდინეზე“ და „პარმა“ — „ბრეშა“ იმსაჯა.

ბაბუნა კედია

ჯარმოსპორტელ
გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!

ბილეთი ჯიტანით 1 თვით, 2 თვით,
3 თვით, 6 თვით, 12 თვით.

98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და
დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მოზილი“

იყიდება!
ნახმარი
კომპიუტერული ტექნიკა
ტელ. 38-11-14, 39-48-29

ბელარუსი

თასის 1/2 ფინალი

II მატჩები

სლავია (მოზირი) — დინამო (მინსკი) 1:1 (1:0);
ვედრიკი-97 (რეჩიცა) — ბელშინა (ბობრუისკი) 1:1 (0:0)

ფინალში 27 მაისს მინსკში, მოზირის „სლავია“ და ბობრუისკის „ბელშინა“ შეხვდებიან

კარიბეთის თასი

1/2 ფინალი

ტრინიდადი 2:0 კუბა

1:0 დვარიკა (33ბ), 2:0 ჯონი (59)

ჰაიტი 5:0 მარტინიკა

1:0 მონპრენიე (17), 2:0 ტელუსმა (28ბ), 3:0 მონპრენიე (60), 4:0 პიერი (83), 5:0 ოლმანი (85)

მატჩი ვსაბე ადგილისთვის

დღეს: მარტინიკა — კუბა

ფინალი, ხვალ:

ტრინიდადი და ტობაგო — ჰაიტი

24 ინფორმაცია საათის განმავლობაში
ფეხბურთი
NHL
NBA
☎ 8 22 009 000,
8 22 009 001
(1წთ / 50 თეთრი)

და მაინც თერიმი!
მილანმა ჩეზარე მალდინის თურქი მწვრთნელი აარჩია

როცა უძველეს იტალიურ ქალაქ ფირენცეში, რუსთა წაბაძვით ფლორენციას რომ ვუწოდებთ, თურქი ფათიჰ თერიმი ჩავიდა, იქაურებმა, ახლა კი გვეშველებაო, შვებით ამოისუნთქეს. მაგრამ „ფიორენტინა“ გაბრიელ ბატისტუტათიც ბევრს ვერაფერს ახერხებდა და უიმისოდ რა უნდა ექნა — როგორც იყო, ისევე საშუალო დონის გუნდად დარჩა. ფათიჰ თერიმი კი წავიდა, რისი ოფიციალური მიზეზიც ის იყო, ხელმძღვანელობა სატრანსფერო ამბებში ცხვირს არ მაყოფინებსო.

აქ შევთანხმდეთ, რომ „ფიორენტინას“ აღარ ვახსენებთ. მისი ხსენება ხომ ოდენ თურქი მწვრთნელის გამო დაგვჭირდა, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ და თერიმთან ერთად კიდევ სხვებზეც ვიტყვით.

სერია A-დან განდევნილი თურქი ორშაბათს მილანში ჩავიდა, რათა ჩემპიონთა ლიგის ფინალს დასწრებოდა. მილანშივე მან თქვა: „გალათასარაის“ ქომაგებს ფუჭი იმედი ნუ ექნებათ, მომდევნო სეზონს იტალიაში გავატარებ“. ამ სიტყვებმა და მათი თქმის ადგილმაც ჟურნალისტებს აფიქრებინა, რომ თერიმი უეჭველად „მილანში“ დამკვიდრდება, როგორც ადრევე იყო ნავარაუდევი, გუნდში ჩეზარე მალდინისა და მაურო ტასოტის მისვლამდე. გავიხსენოთ, რომ იტალიაში მწვრთნელს უფლება არა აქვს, სეზონში ერთ სერიაში მოთამაშე ორი გუნდი გაწვრთნას. ამ მიზეზს ისიც დაემატა, რომ მალდინიმ და ტასოტიმ „მილანი“ ისე აათამაშეს (ბოლო ორ მატჩს თუ არ ჩავთვლით), ხალხი ალაპარაკდა, ბერლუსკონი თერიმზე ფიქრს შეეშვება და ამათ დატოვებსო.

ალბათ უკვე მიხვდით, საითაც მიგვყავს ლაპარაკი. სამშაბათ საღამოს ფათიჰ თერიმი „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის შეხვედრია. გალიანისთან შეხვედრა კი უმეტესად ერთი რამით მთავრდება — მომავალ სეზონში ფათიჰ თერიმი „მილანს“ ჩაიბარებს.

აღმოჩნდა, რომ ეს ცნობა სულაც არ ყოფილა მოულოდნელი ჩეზარე მალდინისთვის. „მამამ ყველაფერი წინასწარ იცოდა და პოსტის გადაბარებისთვის მზად იყო“ — თქვა პაოლო მალდინიმ.

ეს საკითხი გაირკვა, მაგრამ ბურუსითაა მოცული მაურო ტასოტის ბედი. კლუბს მისი ფათიჰ თერიმის თანაშემწედ დატოვება სურს, თურქი კი წინააღმდეგია, „სან სიროზე“ ჩემი ხალხი უნდა მოვიყვანოო.

დამეთანხმებით, „მილანში“ მოვლენები სპრინტერული სისწრაფით ვითარდება — ორშაბათს ხავი მორენო დაიგულეს, დღეს ფათიჰ თერიმი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთ აჩქარებას წინა ტურში „ფიორენტინასთან“ (უკაცრავად, მაინც ვახსენეთ) მარცხმაც შეუწყო ხელი, რაკი მილანელები ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაზე ოცნებას, ფაქტობრივად, გამოეთხოვნენ და მათთვის სეზონი ამით დასრულდა.

ზემოთ ხავი მორენო ვახსენეთ და მისი გამილანელების თემას, რაზეც აუშინ ვწერდით, ორი გამონათქვამიც შევმატოთ. ჯენარო გატუზო: „კაცი, რომელსაც სეზონში ოცდაათი გოლის გატანა შეუძლია, ხელწამოსაკრავი არ უნდა იყოს“. პაოლო მალდინი: „ტელევიზორში მისი თამაში ბევრჯერ მინახავს. ხავი ბრწყინვალე ფორვარდია და თან ახალგაზრდაც. ის უდიდეს დახმარებას გაგვიწევს“.

მილანური ამბები ამით არ დასრულებულა. ნუ გაიკვირვებთ, თუ მომდევნო კვირაში კლუბი გაისკა მენდიეტასთან გააფორმებს კონტრაქტს. როგორც ამბობენ, ვალენსიელთა კაპიტნის სატრანსფერო ღირებულება 35 მილიონ დოლარს შეადგენს. სხვათა შორის, მენდიეტამ შარშან ზაფხულს 2005 წლამდე გაგრძელა „ვალენსიასთან“ კონტრაქტი.

გავიხსენოთ, რომ მოარული ხმების მიხედვით სწორედ ფათიჰ თერიმს ეკუთვნის მენდიეტას მიწვევის იდეა. იმასაც ამბობენ, რომ მილანში მენდიეტასადმი ინტერესი მას შემდეგ გაუჩნდათ, რაც ფიორენტინელი (ისევ ვახსენეთ) რეი კოშტას გადაბირებაში „მილანს“ სერიოზული კონკურენტი გაუჩნდა „ლაციოს“ სახით.

რაც შეეხება „ვალენსიას“, მენდიეტას შემცვლელი, თუ, რა თქმა უნდა, „მილანში“ მისი გადასვლა გაფორმდა, გუნდმა უკვე იპოვა. ესაა ამავე კლუბის აღზრდილი, ოცი წლის ვისენტე როდრიგესი, რომელიც მიმდინარე სეზონის აღმოჩენად იქცა.

გიორგი დარჯანია

გაისკა მენდიეტა შესაძლოა მილანში გადაბარგდეს

ბარსა იგებს თამაშს, აგებს კემპბელს

ცხვირ-პირის მტვრევა დევიდ სიმენის პატივსაცემად

დევიდ სიმენს გარჯა დაუფასეს

სამშაბათს „ჰაიბერიდან“ შინ დევიდ სიმენი გასიებული საფულით, ლი დიქსონი კი დასიებული ტუჩით დაბრუნდა: ვეტერან მეკარეს 600 ათასი გირვანქა უფეშქაშეს, ვეტერან მცველს კი ბუღევინ ზენდენმა უთავაზა. გარდა ამისა, „ბარსელონამ“ 2:0 დაამარცხა „არსენალი“.

ეს ინგლისის ნაკრების კარის დარაჯის საბენეფისო მატჩი გახლდათ. არა, სიმენი ჯერ არსად მიდის — უბრალოდ, კლუბმა 11-წლიანი ერთგულება დაუფასა და ამ შეხვედრის მთელი შემოსავალი მას გადასცა. „არაჩვეულებრივი საღამო გახლდათ. მთელი სტადიონი ჩემს სახელს გაჰყვიროდა. რაც შეეხება ჩხუბს, რას ვიზამთ, ასეთებიც ხდება. ეს იმის დასტურია, რომ ნაღდი ბრძოლა იყო“ — თქვა სიმენმა, ვინც ორიოდ დღის წინ კლუბთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გააგრძელა.

საღამო არც სტუმართა გამარჯვებას, არც ჩხუბსა და არც თავად სიმენის ავტოგოლს გაუფუჭებია. 33 297 კაცი სიამოვნებით უცქერდა თავის ახლანდელ და ყოფილ კერპებს — კატალონიურ გიგანტში ხომ ექს-არსენალელები მარკ ოვერმარსი და ემანუელ პეტი თამაშობდნენ. სწორედ ჰოლანდიელმა შექმნა პირველი გოლი ყოფილი თანაკლუბელების კარში: მისი დარტყმული ბურთი მცველებს მოხვდა, ალფონსომ კი ზუსტად დაუმატა, ალფონსომვე იაქტიურა მეორე გოლისას, როცა სიმენმა სხვა ვეღარაფერი მოახერხა და ბურთი საკუთარ კარში შეაგდო. ეს ყველაფერი საწყის წუთებში მოხდა.

ჩხუბი კი 66-ე წუთზე ატყდა, როცა დიქსონი უხეშად ეთამაშა ზენდენს. მოკინკლავენი თანაგუნდელებმა ძლივს გააშველეს, თუმცა ზენდენმა თამაშის გაგრძელება აღარ ისურვა — სიმენთან მიირბინა, მოუბოდიშა და გასახდელს მიაშურა. მეტი მსგავსი ინციდენტი აღარ მომხდარა, მიუხედავად იმისა, რომ მოედანზე პრემიერლიგის ერთ-ერთი თავზეხელაღებული ჯეელი პატრიკ ვეირაც ირჯებოდა. სიტყვამ მოიტანა და სწორედ ამ თამაშის დღეს ფრანგი ნახევარმცველი პრემიერლიგის სპონსორმა „ქარლინგმა“ სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა.

არსენალი — ბარსელონა 0:2. ზენდენი და დიქსონი ძლივს გააშველეს

„ბარსელონამ“ კი იქვე, ლონდონში აღიარა, რომ თითქმის წაგო სოლ კემპბელისთვის ბრძოლა. კატალონიელთა დროებითმა მწვრთნელმა კარლოს რექსაჩმა განაცხადა: „დიახ, ჩვენ ძალიან გვსურს კემპბელის შეძენა, მაგრამ ვფიქრობ, რომ მას უბრალოდ არ სურს „ტოტენჰემის“ მიტოვება. არადა, სოლი ზუსტად ის კაცია, ჩვენ რომ გვჭირდება — აგრესიული, ახალგაზრდა და ამასთანავე ძალზე გამოცდილი. ახლაც ამბობს, ცოტას კიდევ ვიფიქრებო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჰოდლი მის შესანარჩუნებლად ყველაფერს გააკეთებს“. რექსაჩმა ისიც დადასტურა, რომ ემანუელ პეტის თაობაზე „ბარსას“ რამდენიმე ინგლისური გუნდი შეეხმიანა და მათ შორის ყველაზე მეტად „ჩელსი“ აქტიურობს.

გიგა კოგანიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრობს კაცი

ტოლდოს ძალიან ბევრს აძლევენ

პრემიერადივიზიონის ბოლო ტურში „ბარსელონა“ „ვალენსიას“ მასპინძლობს და ცხრილში ისეთი სიმჭიდროვეა, ამ მატჩს მომავალი ჩემპიონთა ლიგის საგზურთა გადანაწილებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ყველ შემთხვევაში, ასე ჩანს. ამ შეხვედრის გახსენების მიზეზებზე ქვემოთ ვილაპარაკოთ, იქამდე კი კატალონიელთა სატრანსფერო გეგმებზე.

ბევრჯერ ითქვა, „ბარსა“ მეკარეთა სისუსტის პრობლემის მოგვარებას „ფიორენტინადან“ ფრანჩესკო ტოლდოს გადაბირებით აპირებსო. როგორც ცნობილი გახდა, „ბარსას“ წარმომადგენლები იტალიელ მეკარეს შაბათს შეხვედრიან და ისეთი პირობები შეუთავაზებიათ, რომელზეც მან უარი ვერ უნდა თქვას. კერძოდ, ლაპარაკია საარაკო ხელფასზე — წელიწადში სამ მილიონ დოლარზე, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ტოლდოს ახლანდელ ჯამაგირს. ნაწყენები არც ფლორენციელები უნდა დარჩნენ, რომელთათვისაც „ბარსელონას“ ხუთი მილიონი დოლარი გადაუდვია და ერთ-ერთი ფეხბურთელის იჯარით მიცემასაც აპირებს. ვინ არის ეს ფეხბურთელი, ჯერჯერობით ხმამაღლა არ თქმულა.

ტოლდოს უდრეკე აქვს ნათქვამი, ვეჭვობ, „ფიორენტინაში“ დიდხანს დავრჩე — და უპირველესად „ბარსელონას“ წინადადებას განვიხილავო.

ასე რომ, მოლაპარაკება შედგა და ვინძლო, ფრანჩესკო ტოლდო ბარსელონელი გახდეს, თუმცა სარწმუნო წყაროები იუწყებიან, იტალიელმა დრო ითხოვა, ოჯახს უნდა შევუთანხმო ესპანეთში წასვლის ამბავიო.

ტოლდომდე „ბარსელონა“ ერთი კონტრაქტის გაფორმებას მოასწრებს. დღეს ბარსელონაში მონაკოელი მცველი ფილიპ კრისტენვალი ჩადის და რამე გაუთვალისწინებელი თუ არ მოხდა, ხუთწლიან კონტრაქტსაც გააფორმებს. ფრანგები მასში ათ მილიონ დოლარს მიითვლიან.

სხვათა შორის, 22 წლის ფრანგს ნაკრებში ლორან ბლანის ღირსეულ მემკვიდრედ მიიჩნევენ, ხოლო ფრანკ ლებეფმა ისიც თქვა, ერთადერთი ეს ბიჭი თუ გამიწევს კონკურენციასო.

კრისტენვალი თექვსმეტი წლიდან „მონაკოშია“ და რამდენჯერმე ტიერი ანრისა და დავიდ ტრეზეგისთან ერთადაც ითამაშა. ბოლო ოთხი წელი ის მუდმივად სასტარტო შემადგენლობაშია და ერთხელ, გასულ ოქტომბერში, ფრანგთა ნაკრებშიც ითამაშა სამხრეთ აფრიკელებთან ამხანაგურად. აქ ერთი რამეცაა გასათვალისწინებელი — კრისტენვალს მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატში თამაშის დიდი შანსი აქვს და იქამდე თუ არ გადაიწვა, კორეა-იაპონიიდან მობრუნებულს ფასი ერთიორად უნდა აეწიოს. ეგებ კატალონიელთა ხელგაშლილობის ერთი მიზეზი ესეც იყოს.

და ვფიქრობთ, მთავარიც, რაც ამ დროისთვის „ბარსელონას“ ეხება — ფაქტობრივად დადასტურდა. ექტორ რაულ კუპერის „ბარსელონას“ მწვრთნელად დანიშვნა. ამბობენ, რომ „ბარსას“ პრეზიდენტმა ხუან გასპარმა და არგენტინელმა მწვრთნელმა უკვე გააფორმეს წინასწარი შეთანხმება. ისიც ითქვა, რომ ამ შეთანხმების მიხედვით კუპერის „ბარსაში“ გადასვლა ჩემპიონთა ლიგის ფინალის შედეგზე დამოკიდებული არ იყო და თუ რამე მიზეზით მომავალ სეზონში კუპერი კატალონიაში არ აღმოჩნდა, შეთანხმების ჩაშლაში დამნაშავე გვარიანი თანხით დაისჯება.

მაგრამ არის ერთი პუნქტიც, უფრო სწორედ კი მოთხოვნა, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში კუპერი კატალონიისკენ აღარ გაიხედავს — „ბარსელონამ“ ჩემპიონთა ლიგის საგზური უნდა მოიპოვოს. დამეთანხმებით, ამ მოთხოვნის შესრულება მხოლოდ ხუან გასპარის მონდომებაზე არაა დამოკიდებული.

აი, აქ კი უნდა გავიხსენოთ პრიმერადივიზიონის ბოლო ტურის ამბავი, რომელზეც თავშიც ითქვა. თუ „ვალენსიამ“ იქამდე გაინაღდა მომავალ ლიგაში ყოფნა (ეს წერილი ლიგის ფინალამდე იწერება), ეგებ ექტორ რაულ კუპერს „ვალენსიაში“ გამოსამშვიდობებელი მატჩის წაგება ერჩივნოს.

გიორგი დარჯანია

იყიდება როტვეილერის ლეკვები

☎ 39 42 65

(საღამოს, 19⁰⁰-21⁰⁰)

ვა, ვეა?!

რეალის გაგდებულ ლიბერიელს სიტი გამგდების ადგილზე ეპატიჟება

ერთ დროს გიო ქინქლაძის „მანჩესტერ სიტი“ პრემიერლიგიდან კვლავ პირველ დივიზიონს დაუბრუნდა და გუნდის პრეზიდენტს მთავარი მწვრთნელის გათავისუფლებაზე ცხადია, დიდხანს არ უფიქრია. წარუმატებლობის უმთავრესი მიზეზი ჯო როილის არასწორი სატრანსფერო საქმიანობაა, ითქვა.

„სიტის“ თავკაცობა გადაწყვეტილებებს ელვის უსწრაფესად იღებს და რა გასაკვირია, რომ როილის შესაძლო მემკვიდრე უკვე დასახელდა. მანჩესტერელებმა გუნდიდან როილისგან მოკვეთილი 1995 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ჟორჟ ვეა გაიხსენეს. ვეტერანი ლიბერიელი ამჟამად მარსელის „ოლიმპიკში“ თამაშობს და გამოცდილებას სამშობლოს ნაკრებსაც ახმარს. ვეა ლიბერიელთა მოთამაშე-მწვრთნელია. მანჩესტერელებს სურთ, მსოფლიოს ყოფილი საუკეთესო გუნდში დაიბრუნონ. მათი აზრით, ჟორჟ ვეა როილის შეცვლასაც შეძლებს და თავისი გამოცდილებითა და ბებრული ჯანით „სიტის“ მოედანზეც დაეხმარება.



გიორგი მაგარდაშვილი

სამართალმა ბოლო ლუკმაც გადაყლაპა

მარკუს ვარნეკე

საფრანგეთში ჩატარებულმა სასამართლომ 30 წლის გერმანელ, მარკუს ვარნეკეს 5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. წინა დღეს პროკურორი 10 წელიწადს ითხოვდა, მაგრამ მოსამართლემ შედარებით ლიბერალურად განსაჯა. თავად ვარნეკეც ამბობდა, ჩემი დანაშაული უფრო მსუბუქიაო.

ახლა, რა კავშირშია ეს ყველაფერი ფეხბურთთან: ჰანოვერელი სვირინგების მაღაზიის მეპატრონე მარკუს ვარნეკე სწორედ ერთი იმათგანია, ვინც 1998 წელს, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში, სასიკვდილოდ გაიმეტა ფრანგი ჟანდარმი. ჟანდარმი ინციდენტის შემდეგ დიდხანს კომაში იყო და მართალია, გადარჩა, მაგრამ ჯანმრთელობა დღესაც შერყეული აქვს.

აღსანიშნავია, რომ ხულიგანთა ჯგუფიდან ვარნეკეს ბოლოს გამოუტანეს განაჩენი. მის თანამზრახველებს მანამდე 3,5-დან 10 წლამდე პატიმრობა მიუსაჯეს.

ბაჩუნა ძედია

შემოგახვევ წითელ-ყვითელ ჩითებს!

ამ დაკა-დაკამ „პარკ დე პრენსი" ორი თამაშით დასაჯა

გახსოვთ ალბათ, როგორი აურზაურით და სისხლიანი სცენებით დასრულდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის ბოლო ტურის მატჩი პარიზში, იქაურ პსჟ-სა და სტამბოლის „გალათასარაის" შორის.

მართალია, შეხვედრა მასპინძელთა სასარგებლოდ დამთავრდა, მაგრამ სატურნირო ცხრილში კარგად გარკვევის შემდეგ გამარჯვებებს მიჩვეულმა ნაპოლეონის ექსმა გამორჩეულმა შთამომავალმა საყვარელი კლუბის ჯგუფში ჩარჩენა ვერ აიტანა და ყურადღება იმ ადგილისკენ გადაიტანა, სადაც მათი ვარაუდით საფრანგეთში მცხოვრები თურქები წითელ-ყვითელ დროშებს აფრიალებდნენ.

როგორც ოფიციალური წყარო იტყობინება, ამ ექვს ვაი-გულშემატკივარს სტადიონის ტრიბუნებზე თარეში საკმაოდ ძვირი დაუჯდება. მათ რასიზმში, იარაღის უკანონო ტარებასა და სტუმართა გულშემატკივრებზე თავდასხმის ორგანიზებაში ადანაშაულებენ.

ბრალდებულნი ორშაბათს დააკავეს და სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე დროებით გაათავისუფლეს, თანაც ამ პერიოდში მათ ნებისმიერ სტადიონზე ეკრძალებათ შესვლა.

როგორც გამოძიებამ დაადგინა, ისინი მიზანმიმართულად მოქმედებდნენ, შეგნებულად გადაინაცვლეს „გალათასარაის" მხარდამჭერთა ტრიბუნისკენ (გამორიცხული არაა, რომ ამ ექვსიდან ერთს ლიდსში ნათესავი ჰყავდეს), ხელჩართული ბრძოლის ილეთების საჯარო დემონსტრირება მოაწყვეს და საბოლოოდ იმას მიაღწიეს, რომ „პარკ დე პრენსს" ორი მატჩით დისკვალიფიკაცია მიესაჯა, ხოლო პარიზულ კლუბს 115 ათასი დოლარი ჯარიმის გადახდა მოუწევს.

ვაჟა ხუციშვილი

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია
(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თსსუ ცენტრალური კლინიკა (ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფო).
I სართული ტელეფონი: 38-67-56; 8 99 107 109

სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მომზადება სხვადასხვა დონის ასპარეზობებისთვის,
აგრეთვე სტრესების, დისკომფორტის, შფოთვის, კომპლექსების, დეპრესიის,
შიშების მოხსნა, ურთიერთობების პრობლემების მოგვარება.

მიღება წინასწარ ჩაწერით — **29-26-84.**

კონსულტანტი: ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი ნატა გელოვანი
(მაღალი რანგის სპორტსმენებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით)

ფეხბურთის რუკასთან

ინგლისელმა თავდამსხმელმა ლეს ფერდინანდმა „ტოტენჰემთან" ახალ, ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და სავარაუდოდ, კარიერას ლონდონურ კლუბში დაასრულებს. 34 წლის ფეხბურთელმა წლეულს პრემიერლიგაში 35 თამაში ჩაატარა და 10 გოლი გაიტანა. ლეს ფერდინანდი თავიდან „ქუინზ პარკ რეინჯერსის" და „ნიუკასლ იუნაიტედის" ღირსებას იცავდა. „სენტ ჯეიმსიზ პარკი" მან 1997 წელს დატოვა და ლონდონური კლუბისთვის სარეკორდო თანხად, 6 მილიონ გირვანქად „ტოტენჰემთან" გააფორმა ხელშეკრულება, რომლის ვადაც ამ ზაფხულში იწურებოდა.

ჰოლანდიურმა „ფეიენოორდმა" შესაძლოა ქვეყნის სატრანსფერო რეკორდი დაამყაროს — როტერდამელები „ტვენტეს" თავდამსხმელ იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკს 18 მილიონ დოლარად ყიდულობენ. თუმც 22 წლის ფეხბურთელის შეძენის სურვილს ამსტერდამის „აიაქსიც" გამოთქვამს. ვენეგოორ ოფ ჰესელინკმა „ტვენტეში" სამი სეზონის განმავლობაში 60-ზე მეტი გოლი გაიტანა და მას ჰოლანდიაში ერთ-ერთ საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ მიიჩნევენ. აქვე აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიელმა ესპანური და იტალიური კლუბებიდანაც მიიღო მიწვევა.

ფრანგულ „ლანსს" მომავალი სეზონიდან „მეცის" ყოფილი მწვრთნელი ჟოელ მიულერი ჩაუდგება სათავეში. ამ კლუბში გატარებული შვიდი სეზონის შემდეგ მან საბოლოოდ გადაწყვიტა სხვაგან გადასვლა, „ლანსში" ჟორჟე ტურნიე შეცვალა და ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მიულერს ასისტენტობას პატრის ბერჟე გაუწევს, რომელიც აქამდე „ლივერპულში" ჟერარ ულიეს თანაშემწედ მუშაობდა. შეგახსენებთ, რომ „ლანსმა" ეს სეზონი მე-14 ადგილზე დაასრულა, ხოლო „მეცმა" — ორი საფეხურით მაღლა.

იტალიის ჩემპიონატის ლიდერი „რომა" ახლოსაა მიზანთან ახალი სეზონიდან „ატალანტას" მცველი სებასტიანო სივილია რომში გადაიბიროს. ამ ფეხბურთელს სეზონის ბოლოს ბერგამოულ კლუბთან კონტრაქტი უსრულდება, „რომა" კი მას თითქმის ორმაგ ხელფასს სთავაზობს. 28 წლის სივილია „ატალანტაში" მეორე სეზონს ატარებს, მანამდე კი იგი „ვერონას" სერია C-ს „ნოჩერინასა და „პარმას" ღირსებას იცავდა.

ჰოლანდიურმა „ფეიენოორდმა" დაადასტურა, რომ მათი მეკარე ირჟი დუდეკი აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს „არსენალთან" და უახლოეს მომავალში შესაძლოა ლონდონში გადავიდეს. ლონდონურმა კლუბმა ფეხბურთელის თამაშის სანახავად „ფეიენოორდის" ბოლო რამდენიმე მატჩზე წარმომადგენლებიც კი გაგზავნა. სატრანსფერო თანხაზეც შევთანხმდებით და დუდეკი ახალი სეზონიდან „ჰაიბერიზე" ითამაშებს" — აცხადებს როტერდამული კლუბი. 28 წლის გოლკიპერი პრემიერლიგელებთან სამწლიანი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს.

შვედეთის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" 27 წლის განაპირა ნახევარმცველმა იესპერ ბლომკვისტმა სტოკჰოლმის გაზეთ „დეილი ექსპრესენს" განუცხადა, რომ ალექს ფერგიუსონთან შეთანხმების შემდეგ გადაწყვიტა, კიდევ ორი თვე უკონტრაქტოდ დარჩეს „მანჩესტერში". ბლომკვისტს, რომელსაც „გიოტებორგში", „მილანსა" და „პარმაში" უთამაშია, სჯერა, რომ მუხლის მძიმე ტრავმის შემდეგ მოახერხებს „მანჩესტერის" ძირითადში დაბრუნებას. შვედმა მანჩესტერელთა შემადგენლობაში ბოლო მატჩი 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში ჩაატარა.

იტალიელმა მცველმა ალესანდრო ნესტამ „ლაციოსთან" კონტრაქტი 2005 წლამდე გაახანგრძლივა. „რომაულ კლუბში ბედნიერი ვარ და ახალი შეთანხმება იმის დასტურია, რომ სხვაგან გადასვლას არ ვაპირებ" — განაცხადა 25 წლის ფეხბურთელმა, რომელიც „ლაციოს" სკოლის აღზრდილია და ძირითად შემადგენლობაში პირველად 1993 წელს გამოჩნდა. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ მისი შეძენის სურვილს მადრიდის „რეალი" და „ინტერი" გამოთქვამდნენ. „სამეფო კლუბი" თანხმა იყო, ნესტას სანაცვლოდ სარეკორდო თანხა გადაეხადა. კიდევ ერთი სიახლე რომაული კლუბიდან: ჩეხი პაველ ნედვედი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციითა და 20 ათასი გირვანქით დასაჯეს, იგი მომავალი ტურის მატჩს გამოტოვებს.

ინგლისურმა „ჩარლტონმა" „ციურიხის" სამხრეთაფრიკელი ფორვარდი შონ ბარტლეტი შეიძინა. შვეიცარიულმა კლუბმა კი სანაცვლოდ 2 მილიონი გირვანქა მიიღო, ფეხბურთელმა კი სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. 28 წლის ბარტლეტს სამხრეთ აფრიკის ნაკრების ღირსება 46-ჯერ დაუცავს. ფორვარდმა დაახლოებით ერთი კვირის წინ განაცხადა, გაისად აფრიკის თასის გათამაშებაზე ეროვნულ გუნდში თამაშს არ ვაპირებო. ცნობისთვის: ეს ტურნირი იანვარ-თებერვალში უნდა გაიმართოს.

ბრაზილიელ მცველ სილვინიოს „ფიორენტინამ" დაადგა თვალი. ფლორენციული კლუბის მწვრთნელი რობერტო მანჩინი ახალი სეზონიდან გუნდში რამდენიმე ძლიერი მოთამაშის შემატებას აპირებს და ერთ-ერთი სწორედ სილვინიოა, რომელიც „არსენალის" ძირითად შემადგენლობაში ბოლო ხანს იშვიათად ხვდება. გავრცელდა ხმები, თითქოს მას „ჰაიბერის" დატოვება განუზრახავს. იტალიური სააგენტოების ცნობით კი, „ფიორენტინამ" თითქმის მიაღწია შეთანხმებას „ბარის" შვედ ნახევარმცველ დანიელ ანდერსონთან და ეს ფეხბურთელი ახალ სეზონს „არტემიო ფრანკიზე" დაიწყებს.

კამერუნის ნაკრების თავდამსხმელი სამუელ იპოჟა თავისუფალი აგენტის სტატუსით მეორებუნდესლიგური „მაინციდან" „მიუნხენ 1860"-ში გადაბარგდა. მან ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, თუმცა შეთანხმება შესაძლოა მომდევნო ორი წლითაც გაახანგრძლივოს. 28 წლის ფეხბურთელმა ევროპაში რამდენიმე კლუბი გამოიცვალა. თავიდან იგი „ინტერში" ირიცხებოდა, მაგრამ თავი ვერაფრით გამოიჩინა და „ტორინოში" გადავიდა, შემდეგ ვენის „რაპიდში", ხოლო ავსტრიიდან „ტულუზს" მიაშურა. „მაინცში" სამუელი სწორედ ფრანგული კლუბიდან მოხვდა.

გერმანულმა „ჰერტამ" პერსპექტიულ მაკედონიელ ფეხბურთელ ნდემირ ნედჟიპთან შეთანხმებას მიაღწია და 17 წლის ნახევარმცველი „სლოგა იუგომაგნატიდან" ბერლინში გადაიყვანა. „ნედჟიპს არაერთი იტალიური, ესპანური და გერმანული კლუბი ეპატიჟებოდა, მაგრამ სასიხარულოა, რომ მისი შეძენა სწორედ ჩვენ შევძელით" — განაცხადა ბერლინური კლუბის სპორტულმა დირექტორმა. ნდემირი მაკედონიის 21-წლამდელთა ნაკრების მოთამაშეა, „ჰერტასთან" მან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებულმა „ბოხუმმა" „ჰამბურგიდან" ირანელი თავდამსხმელი რაჰიდ ჰაშემიანი გადაიყვანა. თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდის მოთამაშემ „ჰამბურგი" თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა და ბოხუმთან 2003 წლამდე გააფორმა კონტრაქტი. აღსანიშნავია, რომ 24 წლის ირანელი „ჰამბურგის" ძირითად შემადგენლობაში თითქმის ვერ ხვდებოდა, ამ სეზონში მან მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა და ისიც შეცვლაზე შევიდა. მისი განცხადებით, ურჩევნია, ქვედა ლიგაში ითამაშოს, ოღონდ ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად მოხვდეს.

პოლონელი მეკარე იაკობ ვიერტოვსკი მომავალი სამი სეზონის განმავლობაში ბრემენის „ვერდერში" ითამაშებს. იგი ამ კლუბში რამდენიმედღიან შემოწმებას გადიოდა, მოიწონეს და საბოლოოდ დაიტოვეს, რის სანაცვლოდაც „ვერდერმა" 700 ათასი გირვანქა გაიღო. 27 წლის ვიერტოვსკი პოლონეთში ირჟი დუდეკის შემდეგ მეორე გოლკიპერად ითვლება. „ვიცი, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოსაპოვებლად ლოდინი და შრომა მომიწევს, რადგან ფრანკ როსტი ახლა ბუნდესლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა" — განაცხადა მან.

ბოავიშტაც ჩემპიონია!
ახლა სიკვდილიც შეიძლება

ბოავიშტელებმა, მოთამაშეებმაც და ქომაგებმაც ჩემპიონურად მოილხინეს

„ბოავიშტას“ ვებ-გვერდს რომ ჩახედოთ, წაიკითხავთ: „ჩვენი გუნდი 21-ე საუკუნის პირველი ჩემპიონია!“. მართლაც, ოთხი დღის წინ, თავის 97 წლიან ისტორიაში „ბოავიშტა“ პირველად გახდა პორტუგალიის საუკეთესო კლუბი. აქამდე, ამ ქვეყნის ლიგის არსებობის 66 წლიან ისტორიაში ჩემპიონი მხოლოდ ოთხი გუნდი ყოფილა: „ბენფიკა“, „პორტუ“, „სპორტინგი“, და „ბელენენსეში“. მოკლედ, „ბოავიშტა“ თან პირველია და თან მეხუთე.

„ბოავიშტა“ ქალაქ პორტუს რაიონ ბეშას გუნდია. 13 ათასიან სტადიონსაც სწორედ „დე ბეშა“ ჰქვია. თავის დროზე თბილისის „დინამოც“ განადგურებულა, სადაც კვირას „შავ-თეთრებმა“ („ბოავიშტას“ მეტსახელია) იქ „ავეში“ 3:0 დაამარცხეს და ტურნირის დამთავრებამდე ტურით ადრე მიუღწეველნი გახდნენ. ანგარიში 23-ე წუთზე ბოლივიელმა გამთამაშებელმა ერვინ „პლატინი“ სანჩესმა საჯარიმოდან გახსნა. მერე, მეორე ტაიმის დასაწისში შემტევმა ელპიდიუ სილვამ მეორე გაიტანა, ხოლო 65-ზე ველიტონმა მარკვე თავურით წერტილი დასვა.

„ჩემპიონები ვართ იმიტომ, რომ ყველას ვჯობივართ“ — აი, ასეთი იყო „ბოავიშტას“ მწვრთნელ ჟაიმე პაშეკუს მატჩისშემდგომი კომენტარი.

მასპინძელმა ფანებმა დიდი ზეიმი მოაწყვეს და დილამდე არ დამცხრალან. ერთ-ერთმა, შეზარხოშებულმა ფერნანდა სილვამ კი ჟურნალისტებს უთხრა: „65 წლის ვარ და მთელი ცხოვრება „ბოავიშტას“ ვქომაგობ. რახან ამათ ჩემპიონობას მოვესწარი, აწი სიკვდილისაც აღარ მეშინია“...

მაშ ასე, „ბოავიშტა“ პორტუგალიის მეხუთე ჩემპიონია. ამას კლუბმა პრეზიდენტ ჟოაუ ლოურეირუსა და ჟაიმე პაშეკუს ხელში მიაღწია. მანამდე კლუბი ორჯერ იყო მეორე 1976 და 1999 წლებში (99-ში „ბოავიშტამ“ ჩემპიონთა ლიგაშიც ითამაშა).

დღეს პორტუგალიაში ბევრს მიაჩნია, რომ „ბოავიშტა“ ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს. თუმცა ლოურეირუს კარგად ესმის, რომ ბობოლებთან ჭიდილი ძალიან გაუჭირდება: „ვამაყობ მიღწეულით. მით უმეტეს, რომ გუნდის მესამედი ჩვენი სკოლის აღზრდილები არიან. მიუხედავად ამისა, ყოველ წელს ჩემპიონობაზე ფიქრი შეცდომაა, რადგან ეს უდიდეს დანახარჯებთანაა დაკავშირებული. ამ მხრივ კი „პორტუს“, „ბენფიკასა“ და სპორტინგს“ ვერ გავუტოლდებით — ამბობს ლოურეირუ, რომელსაც პრეზიდენტობა მამამის ვალენტინისგან ერგო — მეტი შემოსავლის მისაღებად ინფრასტრუქტურას ნელ-ნელა ვხვეწთ. ვაშენებთ მძლეოსნობის დარბაზს, ვაუმჯობესებთ სტადიონსა და საწვრთნელ ცენტრს. ასე რომ, ვფიქრობ, მომავალი უკეთესი გვექნება“.

„ბოავიშტას“ გარდასახვას მწვრთნელად ჟაიმე პაშეკუს მისვლას უკავშირებენ. პაშეკუ უკვე ოთხი წელიწადია გუნდში მუშაობს, თავის დროზე კი ცნობილი ფეხბურთელი იყო, „სპორტინგში“, „პორტუსა“ და „სეტუბალში“ თამაშობდა. ეს ნაადრევად გამელოტებული ჩია კაცი ქართველ გულშემატკივარს „პორტუ“ — „შახტიორისა“ და 1984 წლის ევროპის ჩემპიონატიდან ემახსოვრება, სადაც პორტუგალიელებმა დრამატულ ნახევარფინალში წააგეს ფრანგებთან.

პაშეკუს ხელში „ბოავიშტას“ ფეხბურთელებმა დაცვაში მწყობრი პრესინგი, ხოლო შეტევაში სწრაფად გადასასვლელად მოკლე და ზუსტი პასები ისწავლეს.

პაშეკუს ფილოსოფიით გუნდში მთავარი ნახევარმცველები არიან. აქ მათი ლიდერი 31 წლის ბოლივიელი ერვინ „პლატინი“ სანჩესია. სწორედ ის არის კაცი, რომელსაც თამაშის ყველა ძაფი უჭირია ხელთ. ასევე გამოირჩევიან 26 წლის პედრო ემანუელი და ბრაზილიელი შემტევი კარლოს ედუარდო, ანუ უბრალოდ დუდა.

კარგად გეხსომებათ, 1996 წლის შემოდგომაზე „ბოავიშტა“ უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში თბილისის „დინამოს“ შეხვდა და ჯამში 5:1 მოუგო. მაშინ გუნდში თამაშობდნენ ევრო 2000-ის ერთ-ერთი გმირი ნუნუ გომეში და ინგლისური პრემიერლიგის წლევანდელი ბომბარდირი, ჰოლანდიელი შავკანიანი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი. „დე ბეშაზე“ სწორედ ჰასელბაინკმა გაუტანა სამი გოლი ჩვენებურებს.

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა კლუბშიც და საერთოდ პორტუგალიურ ფეხბურთშიც. უკვე ვთქვით, გასულ კვირამდე მხოლოდ ოთხი ჩემპიონი გუნდი ჰყავდათ. აქედან „ბელენენსეშს“ პირველობის სიტკბო მხოლოდ ერთხელ, ისიც 1946 წელს გაუსინჯავს. 90-იანი წლები ხომ ბოავიშტელთა თანაქალაქელ „პორტუს“ ბატონობისა იყო. ამ მონაკვეთში ისინი რვაჯერ გახდნენ ჩემპიონები, ორჯერაც 1991 და 94 წლებში „ბენფიკამ“ იმარჯვა. ბოლო ორ წელიწადს კი ამათ „სპორტინგმა“ და აი, ახლა „ბოავიშტამ“ აჯობეს.

სოლომონ გულისაფშვილი

პორტუგალიის ჩემპიონები

ბენფიკა (ლისაბონი) (30): 1936, 37, 38, 42, 43, 45, 50, 55, 57, 60, 61, 63, 64, 65, 67, 68, 69, 71, 72, 73, 75, 76, 77, 81, 83, 84, 87, 89, 91, 94

პორტუ (18): 1935, 39, 40, 56, 59, 78, 79, 85, 86, 88, 90, 92, 93, 95, 96, 97, 98, 99

სპორტინგი (ლისაბონი) (17): 1941, 44, 47, 48, 49, 51, 52, 53, 54, 58, 62, 66, 70, 74, 80, 82, 2000

ბელენენსეში (1): 1946

ბოავიშტა (პორტუ) (1): 2001

Copa Toyota Libertadores '2001

ლიბერტადორესის თასი 2001

1/4 ფინალი. I მატჩი

როსარიო სენტრალი (არგენტინა) 1:0 ამერიკა (კოლუმბია)

1:0 პიცი (22)

როსარიო სენტრალი: ტომბოლინი, მარა, დ. დიასი, ლოუშბორი, ეროსი, კინტეროსი, დ. პერესი, დე ბრუნო, ე. გომსალესი (არიოლა 68), მაკერატეზი (არია 64), პიცი

ამერიკა: ბარბატი, კარდონა, კ. გარსია, ნავარო, მაზირი, ტ. გომსალესი, ლ. გარსია (ბეტანკური 62), ფ. ვარგასი, უ. საპატა (ზულუაგა 80), დ. ფერეირა, ვასკესი (როგანოვიჩი 73)

28 000 მაყურებელი

უნგრეთი

მეორე ეტაპი

მე-17 ტური: დუნაფერი — ფერენცვაროში 0:0; უიპეშტი — ვაშაში 1:1; ტატაბანია — ვიდეოტონი 1:3; შოპრონი — ჰონვედი 2:1; ზალაეგერსეგი — დიორ ეტო 2:3; მტკ — დებრეცენი 0:1

ფერენცვაროში	17	8	7	2	28:12	35
დუნაფერი	17	9	2	6	25:27	34
მტკ	17	7	5	5	23:14	32
ჰონვედი	17	9	3	5	30:23	31
ვაშაში	17	7	6	4	30:24	31
უიპეშტი	17	7	4	6	27:27	30
დიორ ეტო	17	7	5	5	22:22	28
ვიდეოტონი	17	7	2	8	26:23	25
შოპრონი	17	5	6	6	19:20	24
ზალაეგერსეგი	17	5	6	6	22:23	22
დებრეცენი	17	5	2	10	24:35	20
ტატაბანია	17	1	2	14	12:38	11

მეორე ეტაპზე ქულები განახევრებულია

რუმინეთი

27-ე ტური: ჩაპლაული — სტიაუა 0:3; ოცელული — რაპიდი 1:4; როკარი — ბრაშოვი 1:2; დინამო — გლორია 3:1; პეტროლული — ფორესტა 0:0; ბაკეუ — უნივერსიტატია 3:1; არჯეში — ასტრა 4:2; გაც მეტანი — ნაციონალი 1:2

სტიაუა	27	15	8	4	45:28	53
ბრაშოვი	27	14	4	9	30:23	46
დინამო	27	13	6	8	49:39	45
არჯეში	27	12	9	6	39:34	45
რაპიდი	27	10	10	7	33:24	40
გლორია	27	11	4	12	40:40	37
პეტროლული	27	11	4	12	31:31	37
ნაციონალი	27	11	4	12	33:37	37
ასტრა	27	10	6	11	35:29	36
ჩაჰლაული	27	9	9	9	35:28	36
უნივერსიტატია	27	9	8	10	28:34	35
ოცელული	27	9	7	11	30:34	34
ფორესტა	27	7	12	8	36:39	33
როკარი	27	9	4	14	37:49	31
ბაკეუ	27	8	6	13	34:41	30
გაც მეტანი	27	3	9	15	19:34	18

ლიტვა

მე-10 ტური: ვეტრა — საკალასი 2:1; ნევეჟისი — ეკრანასი 0:0; დაინავა — ატლანტასი 0:1; ჟალგირისი — გელეჟინისი 2:1; კაუნასი — ინკარასი 1:1

კაუნასი	10	9	1	0	26:4	28
ატლანტასი	10	7	1	2	22:10	22
ჟალგირისი	10	7	1	2	17:9	22
ეკრანასი	11	4	3	4	21:14	15
ინკარასი	10	4	3	3	14:11	15
ნევეჟისი	10	3	3	4	7:11	12
გელეჟინისი	10	3	1	6	9:11	10
საკალასი	11	3	1	7	12:20	10
ვეტრა	10	3	1	6	10:21	10
დაინავა	10	0	1	9	6:33	1

შკრაინა

23-ე ტური: დინამო — კარპატი 1:1; მეტალურგი (მარიუპოლი) — მეტალურგი (დონეცკი) 1:0; დნიპრო — ვორსკლა 2:1; კრივბასი — ცსკა 0:1; მეტალისტი — ნივა 2:1; შახტარი — სტალი 3:1; ტავრია — მეტალურგი (ზაპოროჟიე) 0:1

შახტარი	23	17	5	1	61:20	56
დინამო	23	17	4	2	53:15	55
დნიპრო	23	15	4	4	32:16	49
მ. დონეცკი	23	10	9	4	26:19	39
ცსკა	23	9	8	6	28:22	35
მ. მარიუპოლი	23	10	4	9	32:26	34
მ. ზაპოროჟიე	23	8	8	7	26:27	32
კარპატი	23	8	3	12	31:37	27
ტავრია	23	6	9	8	20:29	27
მეტალისტი	23	6	7	10	24:36	25
კრივბასი	23	6	6	11	21:31	24
ვორსკლა	23	5	5	13	16:27	20
სტალი	23	2	5	16	17:47	11
ნივა	23	2	3	18	20:55	9

ისრაელი

პლეი ოფი

37-ე ტური: ჰაპოელი (თელ ავივი) — ბეითარი 1:0; ირონი — მაკაბი (ნეთანია) 4:4; მაკაბი (ჰაიფა) — ჰაპოელი (ჰაიფა) 1:3; ბნეი იეჰუდა — ცაფრირიმი 1:0; მაკაბი (თელ ავივი) — ჰაპოელი (ფეთახ თიკვა) 2:0; მაკაბი (ფეთახ თიკვა) — აშდოდი 2:1

ზემოქვსეული

მ. ჰაიფა	37	24	10	3	68:26	82
ჰ. თელ ავივი	37	21	12	4	55:27	75
ჰ. ჰაიფა	37	19	11	7	57:38	68
მ. თელ ავივი	37	18	11	8	71:33	65
ბეითარი	37	18	8	11	45:38	61
ჰ. ფეთახ თიკვა	37	12	9	16	54:62	45

ჰაიფას „მაკაბი“ ჩემპიონია, იერუსალიმის „ბეითარს“ დაკლებული აქვს 1 ქულა

ქვემოქვსეული

მ. ნეთანია	37	12	10	15	58:58	46
მ. ფეთახ თიკვა	37	12	8	17	41:51	44
აშდოდი	37	10	8	19	41:52	38
ირონი	37	10	8	19	39:61	38
ბნეი იეჰუდა	37	8	9	20	37:62	33
ცაფრირიმი	37	4	4	29	25:83	16

თელ ავივის „ბნეი იეჰუდა“ და ჰოლონის „ცაფრირიმი“ გავარდნენ

თასის ფინალი

მაკაბი (თელ ავივი) 3:0 მაკაბი (ფეთახ თიკვა)

1:0 რ. გოლდბერგი (56), 2:0 ბიტონი (75), 3:0 ნიმნი (90)

იუგოსლავია

30-ე ტური: ჩუკარიჩკი — ზემუნი 2:1; ოფკ — პარტიზანი 1:2; ფელეზნიკი — ნაპრედაკი 3:2; ვოივოდინა — ჰაიდუკი 4:1; ზეტა — სარტიდი 2:1; რადი — ობილიჩი 1:0; სუტიესკა — რადნიჩკი (ნიში) 2:1; ცრვენა ზვეზდა — ბუდუჩნოსტი 2:1; მილიციონარი — რადნიჩკი (კრაგუევაჩი) 1:0

ცრვენა ზვეზდა	30	24	4	2	76:17	76
პარტიზანი	30	25	1	4	81:28	76
ობილიჩი	30	17	5	8	45:38	56
სარტიდი	30	16	2	12	45:41	50
ოფკ	30	13	5	12	44:39	44
ვოივოდინა	30	11	8	11	43:32	41
ფელეზნიკი	30	11	7	12	43:49	40
სუტიესკა	30	12	4	14	43:55	40
ჰაიდუკი	30	11	5	14	39:40	38
ზემუნი	30	10	8	12	31:38	38
ჩუკარიჩკი	30	12	2	16	35:44	38
რ. კრაგუევაჩი	30	11	5	14	33:46	38
ზეტა	30	9	9	12	34:44	36
რადი	30	10	4	16	39:52	34
ბუდუჩნოსტი	30	9	5	16	22:37	32
ნაპრედაკი	30	7	9	14	33:50	30
რ. ნიში	30	8	5	17	25:50	29
მილიციონარი	30	8	4	18	26:43	28

პოლონეთი

28-ე ტური: სტომილი — ვიძევი 1:0; რუხი — ზაგლებე 1:2; ოდრა — პოგონი 4:0; პოლონია — გურნიკი 0:2; ბლოცკი — ლეგია 1:0; კატოვიცე — გროცლინი 1:1; ამიცა — ვისლა 2:1; შლიონსკი — რაძიონკოვი 1:1

ვისლა	28	17	5	6	61:26	56
ლეგია	28	14	8	6	42:24	50
პოგონი	28	15	5	8	39:29	50
პოლონია	28	12	7	9	33:25	43
ზაგლებე	28	13	4	11	41:36	43
ამიცა	27	12	5	10	44:39	41
კატოვიცე	28	9	13	6	27:21	40
რუხი	28	11	5	12	43:43	38
გროცლინი	28	9	10	9	31:32	37
ვიძევი	28	9	7	12	33:40	34
სტომილი	28	10	4	14	22:38	34
ოდრა	28	8	9	11	35:44	33
შლიონსკი	28	8	8	12	30:37	32
რაძიონკოვი	28	9	4	15	24:42	31
ბლოცკი	28	8	4	16	30:50	28
გურნიკი	27	7	6	14	25:34	27

ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი

საქართველო — ბულგარეთი

3 ივნისი. თბილისი. სპორტის სასახლე

სლავები კურორტზე შეიკრიბნენ

საქართველოს საკალათბურთო ნაკრებს ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე პირველი მატჩის გამართვა ბულგარეთის ეროვნულ გუნდთან 3 ივნისს უწევს. სლავთა მთავარმა მწვრთნელმა პეტკო მარინოვმა ამ ტურნირში საასპარეზოდ ბულგარულ კურორტ იამბოლში შეკრებაზე 12 კანდიდატს უხმო. გამოძახებულნი არიან: *სპას ნატოვი (ჩერნო მორე), ლიუბომირ მინჩევი (ლევსკი), ბოიკო მლადენოვი (ლევსკი), ტეოდორ სტოიკოვი (სკაფატი, იტალია), დეტჩო კოეშინოვი (ატომიქსი, ბელგია), ივან კოცევი (პლევენი), ტენჩო ბანევი (აკადემიკი), სტეფან გეორგიევი (ველბაჟდი), ლუდმილ ჰაჯისოტიროვი (ბოსტონ კოლეჯი, აშშ), დიმიტარ ანგელოვი (იამბოლგაზი).* ბულგარელები ამ შეკრებაზე ორ ამხანაგურ მატჩს გამართავენ, 28 და 29 მაისს რუმინეთის ეროვნულ გუნდს შეხვდებიან.

არ არის გამორიცხული, ზემოჩამოთვლილთა გარდა თბილისში სხვა კალათბურთელებიც ვიხილოთ, რადგან ბულგარელთა მიერ ჩვენი კალათბურთის ფედერაციისადმი გამოგზავნილ სავარაუდო შემადგენლობაში მათ გარდა — *ივან დრუმევი, ივაილო რაჟუცოვი, იორდან ბოზოვი, ემილ სტამენოვი და იულიან რადიონოვი* არიან.

ბულგარელები თბილისში 2 ივნისს, გამთენიისას ჩამოფრინდებიან სტამბოლის რეისით და სასტუმრო „აჭარაში“ დაბინავდებიან. შემდეგი თამაში ჩვენს მეტოქეს 6 ივნისს, აზერბაიჯანის ნაკრებთან სტუმრად უწევს.

ირაკლი ბერტაია

ლიუბომირ მინჩევი ბულგარელთა ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი კალათბურთელია

სლოვენია

სერიაში თანაბრობა ქართველებს ტრავმებად დაუჯდათ

პლეი ოფი

მესამე ადგილისთვის (ორ მოგებამდე)

სლოვანი	1
პივოვარნა	1

პივოვარნა 75:92 სლოვანი

პივოვარნა: ნაკიჩი (20), ლისიცა (13), დუშაკი (11), ოვჩინა (8), უდრიჰი (8), ერჟენი (4), იურაკი (3), ბროლიჰი (3), დრაგშიჩი (3), მილეტიჩი (2)

სლოვანი: ნოვაკი (18), ლაკოვიჩი (16), მარავიჩი (15), ბოისა (15 ქულა, 11 მოხსნა), პავიჩი (10), უგრეხელიძე (7 ქულა, 5 მოხსნა), ცქიტიშვილი (6), ჟაკელი (4), კოვაჩი (1)

მაშინ, როდესაც საქართველოს ნაკრები სლოვენიაში შეკრებაზე იმყოფება, მის სამ კანდიდატს, ლიუბლიანის „სლოვანის“ შემადგენლობაში ამ ქვეყნის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლებისათვის უწევს ბრძოლა. პირველ შეხვედრაში ძირითადად ფსიქოლოგიური ასპექტების გამო დამარცხებულმა დედაქალაქელებმა განმეორებითი შეხვედრა გამართეს სტუმრად „პივოვარნასთან“. ლიუბლიანელებს ამ მატჩში უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდათ, რადგან მარცხის შემთხვევაში წლეულსაც საპრიზო ადგილების მიღმა რჩებოდნენ. ამ თამაშში სლოვანელებს უნდა დაემტკიცებინათ, რომ პირველ მატჩში მათი მარცხი შემთხვევითი იყო.

„სლოვანმა“ ბრწყინვალედ დაიწყო, პირველივე წუთებიდან იგდო ხელთ ინიციატივა და მთელი თამაში თავისი კარნახით წარმართა. სტუმრებს ყველაფერი გამოსდიოდათ და შედეგად პირველი მეოთხედი 23:9 მოიგეს.

მეორე მეოთხედიც იგივე სცენარით წარიმართა. მასპინძლები ვერაფერს უპირისპირებდნენ ჩინებულად მოთამაშე სლოვანელებს, რომლებიც თანდათან ზრდიდნენ თავიანთ უპირატესობას და ტაიმის დასასრულს ანგარიშში სხვაობა მეტოქესათვის კატასტროფული გახადეს — 50:27. ამის შემდეგ მატჩის ბედი ფაქტობრივად გადაწყდა. მასპინძლებმა მხოლოდ ერთხელ, მესამე მეოთხედის მიწურულს მოახერხეს წინ გაჭრილ მეტოქესთან 13 ქულით მიახლოვება და როდესაც „სლოვანმა“ რამდენიმე წუთში ეს სხვაობა კვლავ გააორმაგა, პივოვარნელებს თამაშის გადასარჩენად არც დრო დარჩათ და არც ძალები. სტუმრებმა ნაყოფიერად გამოიყენეს მოპოვებული უპირატესობა და თამაში ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს. საბოლოოდ 92:75 და სერიაში ანგარიში გათანაბრდა.

სამწუხაროდ, ამ მატჩში ტრავმები მიიღეს ჩვენმა ლეგიონერებმა. ნიკა ცქიტიშვილს, რომელმაც თავის გუნდს 6 ქულა შესძინა, ერთ სათამაშო ეპიზოდში ცხვირიდან სისხლი წასკდა და მწვრთნელმა მისი ამ თამაშში დასვენება არჩია. ვლადიმერ ბოისამ, რომელიც 15 ქულითა და 11 მოხსნით ერთ-ერთი შედეგიანი იყო სლოვანელთა შორის, მუხლი დაიზიანა და მისი ბრინჯაოსათვის გადამწყვეტ მატჩში მონაწილეობა სათუოა. თუმცა საგანგაშო არაფერია და თუ „პივოვარნასთან“ არა, საქართველოს ნაკრების ბულგარელებთან შეხვედრისთვის იგი ფორმაში იქნება. წინა მატჩში 16 წუთით ნათამაშევი კოტე ტუღუში კვლავ სათადარიგოთა შორის იყო, დავით უგრეხელიძე კი თავის გუნდს 7 ქულითა და 5 მოხსნით შეეწია.

ირაკლი ბერტაია

NBA. კონფერენციების ფინალი (ოთხ მოგებამდე)

საწამლავის კოლექციონერი დეგუსტაციაზე გეპატიჟებათ

ამბობენ, ბრაუნმა მოიგოო...

აღმოსავლეთი

22 მაისი

ფილადელფია	1
მილუოკი	0

ფილადელფია 93:85 მილუოკი

ფილადელფია: აივერსონი (34), მაკი (23), მუტომბო (15 ქულა, 18 მოხსნა, 4 დაფარება)

მილუოკი: ალენი (31), კასელი (20), რობინსონი (15), ჯონსონი (8 ქულა, 15 მოხსნა)

მაშ ასე! „ფილადელფია სიქსერზმა“ ტრადიცია დაარღვია და სერია მოგებით გახსნა. და მაინც, ეს მხოლოდ ერთი გამარჯვებაა და არამც და არამც არ მოასწავებს ცალფარა თამაშს. თავს უფლებას მივცემთ და ვიტყვით, რომ „მილუოკი“ კიდევ დაიქუხებს და არავითარ შემთხვევაში არ გახდება ალენ აივერსონისა და მისი რაზმის საკრივო მსხალი.

„ფილადელფიას“ მატჩის ოქმის ნახვისას თვალი უპირველესად აივერსონისკენ გაგექცევათ. ნბა-ს საუკეთესო მოთამაშე ურიგოდ არ გარჯილა და 34 ქულა მოინაგრა, თუმც ცუდად ისროდა და 35 სროლიდან 13 ჩააგდო. მისივე იყო მატჩის დამთავრებამდე 1,10 წუთით ადრე ჩაგდებული სამქულიანი, რის შემდეგაც „სიქსერზი“ 90:83 დაწინაურდა და კვალდაკვალ მდევარ „მილუოკის“ ჯაფა წყალში ჩაუყარა. მატჩის უმთავრესი მოვლენაც ეს გახლდათ. მანამდე აივერსონმა ორი საჯარიმოც ჩააგდო და ანგარიში 87:83 გახადა. ბოლო წუთებზე მას სტუმართა ლიდერი რეი ალენი მეურვეობდა, რადგან აივერსონმა ექვსი პერსონალური მიაღებინა უწინდელ მეთვალყურეს, სემ კასელს და მანამდე გააგდო თამაშიდან. სამქულიან ხაზს გარეთ აივერსონმა ბურთი რომ მიიღო, ალენს თვალებში შეხედა, მისმა ოდნავ უკან გადადგმულმა ნაბიჯმა მიახვედრა, რომ მილუოკელი მისგან დრიბლინგს ელოდა. აივერსონს ბევრიც არ უფიქრია, სანამ რეი ალენი მისთვის ხელის შეშლას მოახერხებდა, აუღელვებლად ისროლა სამიანი, რომელიც სტუმართა კალათში ჩაეშვა და მათი მარცხი წინასწარ გამოაცხადა. „რეი არ ელოდა, რომ ვისროლი, რადგან მანამდე ბევრი ავაცილე და ფიქრობდა, აღარ გავრისკავდი. მან თვითონ აირჩია, რომელი საწამლავი მიეღო“ — თქვა ნამატჩევს აივერსონმა.

მატჩის დამსწრე ოცი ათასი და ტელევიზორის წინ მჯდარი სულ ცოტა ასი ამდენი ფილადელფიელის გულის გასახეთქად, მათ 183-სანტიმეტრიან კერპს დასაწყისში თამაში არ წაუვიდა. აივერსონმა საწყისი ცხრა სროლიდან ყველა ააცილა და თუ „ფილადელფიამ“ პირველი მეოთხედი (19:19 დასრულდა) არ წააგო, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა მასპინძლებმა — აარონ მაკკიმ და დიკემბე მუტომბომ იყოჩაღეს, რომელთა უმთავრესი მოვალეობა ქულების დაგროვება არ გახლავთ. მიუხედავად ამისა, „სიქსერზის“ დამრიგებელმა ლარი ბრაუნმა შეგირდს უთხრა, სროლები გააგრძელეო და აივერსონმაც იმედი არ გაუცრუა. მეორე მეოთხედში მან თანდათან გაისწორა მიზანი და ზედიზედ ოთხჯერაც ჩააგდო, სულ ამ თორმეტწუთეულში კი საამმატჩო მონაგარის თითქმის ნახევარი, 16 ქულა დააგროვა. ლიდერის თავგამოდების შემხედვარე სხვა ადგილობრივმა ბიჭებმაც გამოისხეს ფრთები და მომხდურთ შავი დღე აყარეს. „სიქსერზმა“ მეორე მეოთხედი 32:16 მოიგო და მეორე ნახევრისთვის 16-ქულიანი უპირატესობა შეიქმნა.

„მილუოკი ბაქსს“ გაცილებით რთული თამაშების ჩარხი შემოუბრუნებია და არც 16-ქულიანმა ჩამორჩენამ დააფრთხო. მათი ლიდერი რეი ალენი მძლავრად ათამაშდა, სხვებიც აიყოლია და სტუმართა ძალისხმევით საფინალო სირენამდე ორი წუთით ადრე დეფიციტი თითქმის აღმოიფხვრა. ორი წუთით ადრე სემ კასელმაც სამი საჯარიმო შეასრულა ზუსტად და „ბაქსი“ 83:85 მიუახლოვდა მეტოქეს. მერე კი აივერსონის ჯერიც დადგა. მან გააგდო კასელი, ჩააგდო ორი საჯარიმო და ამას ზემოთ ნახსენები სამქულიანიც მიაყოლა.

„ერთი წაგება ტრაგედია არაა, მაგრამ გული გვწყდება — მოგება შეგვეძლო. ცუდად ვუტევდით და კიდევ უფრო ცუდად ვიცავდით თავს. ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ თავიდან, როდესაც აივერსონი გავაჩერეთ, სხვებმა ჩაგვიყარეს და რიტმი არ დაკარგეს. ჩვენ კი ორიოდ სროლამ ჩვენი თამაში დაგვაკარგვინა“ — რეი ალენი წაგებამ ერთობ დაალონა. ფილადელფიელთა მარცხის მთავარი მიზეზი კი გლენ რობინსონია. „დიდი ძაღლი“ „მილუოკის“ სამი სნაიპერიდან ერთადერთი იყო, ვინც თამაში ჩააგდო, მან პირველ ტაიმში ათი სროლიდან ცხრა ააცილა. არადა, ალენსა და კასელზე ნაკლები ჯაფა უნდა დასდგომოდა, რადგან „ფილადელფიას“ ძირითადი ფრთა ჯორჯ ლინჩი ტრავმირებული ჰყავს და რობინსონს, წესით, უნდა დაეჩაგრა ლინჩის შემცვლელი ჯუმაინ ჯონსი.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ „ფილადელფიას“ ღვაწლმოსილ მწვრთნელ ლარი ბრაუნს, გარდა იმისა, რომ მისმა შეგირდებმა იმარჯვეს, სხვა რამაც აქვს მისალოცი. მართალია, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას სეზონის საუკეთესო მწვრთნელი ოფიციალურად ოთხშაბათს უნდა დაესახელებინა, მაგრამ ამბობენ, გამოკითხვა უკვე ჩატარდა და გამარჯვებული სწორედ ბრაუნიაო. მას ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში, როგორც ნბა-ში, ასევე 70-იან წლებში მის მოქიშპე ამერიკის საკალათბურთო ასოციაციაში (აბა), ათასზე მეტი თამაში მოუგია მწვრთნელის რანგში.

ირაკლი ფირუაშვილი



ალენ აივერსონი რეი ალენს გაექცა

REUTERS ფოტოქრონიკა

საფრანგეთი

მრთი მლის სამს

პლეი ოფი

მეოთხედფინალი (ორ მოგებამდე)

ვილერბანი	2
რასინგი	0

რასინგი 69:95 ვილერბანი

სტრასბური	1
დიჟონი	1

დიჟონი 82:55 სტრასბური

ლე მანი	1
ნანსი	1

ნანსი 91:73 ლე მანი

პო ორტეზი	1
შალონი	1

შალონი 71:85 პო ორტეზი

სამშაბათ საღამოს საფრანგეთის ჩემპიონატის მეოთხედფინალის მეორე მატჩები გაიმართა და ერთი ნახევარფინალისტიც გამოვლინდა — „ვილერბანი“. დანარჩენ სამ წყვილში კი სერიის ანგარიში გათანაბრდა და გადამწყვეტი თამაშები გახდა საჭირო, რომლებიც შაბათს გაიმართება.

„ვილერბანმა“ პარიზშიც შეძლო რეგულარული ჩემპიონატის მერვეადგილოსნის დამარცხება და ლამის იგივე სხვაობით, როგორც შინ, როცა 102:75 მოიგო. თამამად შეიძლება ითქვას, სტუმრების შემდეგ ეტაპზე გასვლა წამითაც არ გამხდარა საეჭვო. „რასინგს“ არ გააჩნია ისეთივე სისწრაფე, ტექნიკა, დაცვა, სათადარიგოთა სკამი, როგორიც მის მოწინააღმდეგეს და ამიტომაც ღირსეული წინააღმდეგობაც ვერ გაწია.

თუ პარიზელები საწყის წუთებში 6:2 დაწინაურდნენ თურქჯანისა და ჰენდერსონის წყალობით, დროის შემდეგი მონაკვეთი 0:14 წააგეს (აქედან 11 ქულა დავიდ ფრიგუმ მოიპოვა) და კინგისა და მისი თანაგუნდელების იმედები საპნის ბუშტივით გასკდა. პირველი მეოთხედი „მწვანეებმა“ 23:13 მოიგეს. ამის მერე ისინი შედარებით დამშვიდნენ და ტაიმის ბოლოსთვის თავიანთი უპირატესობა მხოლოდ ერთი ქულით გაზარდეს — 39:28.

მატჩს თითქმის ყველანაირი ინტერესი დაეკარგა მესამე მეოთხედში, რომელშიც „ვილერბანმა“ 30:18 აჯობა მოწინააღმდეგეს. სტუმართა წარმატების საწინდარი სწრაფი კონტრშეტევები, ფარიდან ასხლეტილი ბურთებისთვის უკეთ ბრძოლა (40:33), უფრო ზუსტი პასები (29:15) და მათი ამერიკელი ლეგიონერი ბილ ედვარდსის ბრწყინვალე თამაში (39 ქულა, 12 მოხსნა) იყო. თანაც ედვარდსს მშვენივრად ეხმარებოდნენ ჯიმ ბილბა (7 პასი) და 211-სანტიმეტრიანი შვედი გოლიათი იოაკიმ ბლომი.

ერთხანს სტუმრები 27 ქულითაც დაწინაურდნენ (90:63), მაგრამ დარჩენილ დროში მათ პარიზელებს მხოლოდ ერთი ქულით მისცეს ანგარიშში სხვაობის შემცირების უფლება და საბოლოოდ მხოლოდ 26 ქულით მოიგეს. „ამ საღამოს საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო გუნდს შევხვდით და რა გასაკვირია, რომ წავაგეთ“ — განაცხადა „რასინგის“ თავკაცმა რონ სტიუარტმა. მისი კოლეგა გრეგ ბენიო კი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ძირითადად თავისი გუნდის კოლექტიური და დაცვითი თამაშის ქებით შემოიფარგლა.

დაცვაში მშვენივრად გაისარჯნენ დიჟონელებიც და რობერტო ბერგერსენის (27 ქულა) წინამძღოლობით „სტრასბურის“ დიდი ანგარიშით ძლევაც მოახერხეს. თავიდან მასპინძლების დაწინაურებაში მთავარი როლი მორლენდემ (19 ქულა) შეასრულა. მისი აქტიურობის შედეგად მე-5 წუთზე „დიჟონი“ 11:5 იგებდა. თუმცა ალზასელები დანებებას არ აპირებდნენ და მეორე მეოთხედის დასაწყისში თავად გავიდნენ ერთი ქულით წინ — 23:22.

სწორედ ამ დროს აიწყვიტა ბერგერსენმა და მეოთხედის დარჩენილი მონაკვეთი თავისიანებს 18:6 მოაგებინა. თანაც მასპინძლები ფარზეც გაბატონდნენ (41:29) და სერიაში ანგარიშის გათანაბრებაც აღარ გასჭირვებიათ.

გასულ შაბათს ლე მანში დამარცხებულმა „ნანსიმაც“ სამშაბათს აიღო რევანში საკუთარ კედლებში და მანაც საკმაოდ იოლად დაამარცხა მეტოქე, რაზეც საბოლოო ანგარიშიც მეტყველებს. ლოტარინგიელები დაცვაში ძალიან აგრესიულად მოქმედებდნენ და მეტოქეც მალე ჩამოიტოვეს უკან. თუმცა თავის დამშვიდება მათ მხოლოდ მესამე მეოთხედში შეძლეს, როცა ვაიტის, სის და ჯეიმსის (შესაბამისად 19, 22 და 18 ქულა) სიზუსტის წყალობით ლემანელებს 21 ქულით (60:39) დაშორდნენ. ჰოდა, ეს დამშვიდება კინაღამ ძვირადაც დაუჯდათ, რადგან როჯერსის აქტიურობით „ლე მანმა“ ანგარიშში სხვაობა 32-ე წუთისთვის 8 ქულამდე (68:60) დაიყვანა. თუმცა „ნანსიმ“ ისევ ჩააბეტონა საკუთარი დაცვა და მოიგო კიდეც.

გუშინ ვწერდით, რომ „შალონის“ პოში მოგება პლეი ოფის პირველი მოულოდნელობა გახლდათ და თუ შინაც იმარჯვებდა... მაგრამ სენსაცია არ შედგა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, რადგან „პო ორტეზმა“ სტუმრად შეძლო გამარჯვება. პოელებმა ფიზიკური ძალის ხარჯზე იმარჯვეს. მათ ბოლო მეოთხედში იმდენად მჭიდრო დაცვა დაუყენეს მეტოქეებს, მათ მხოლოდ ორი (!) ქულითღა შეძლეს საკუთარი მარაგის შევსება.

მანამდე კი თამაში საკმაოდ თანაბრად წარიმართა და თუ ანგარიშში წინ ძირითადად „პო ორტეზი“ იყო, „შალონი“ მას ძალიან დაშინაურების საშუალებას არ აძლევდა. 23-ე წუთზე მასპინძლები 45:50 აგებდნენ, 27-ეზე ანგარიში გათანბრდა (58:58). მესამე მეოთხედის ბოლო სამ წუთში მეტოქეებმა ლამის ყველა სროლა ჩააგდეს და შედეგად წინ „შალონი“ გავიდა — 69:68.

დასკვნითი ათწუთეული კი მასპინძელთათვის ერთგვარი კოშმარი იყო. მათ საბოლოოდ 71:85 დათმეს შეხვედრა.

ბაგი ბურული

ესპანეთი

მეოთხედფინალი (სამ მოგებამდე)

ბარსელონა	2
ფორუმი	0

ბარსელონა 106:62 ფორუმი

ტაუ	1
ესტუდიანტესი	1

ტაუ 91:104 ესტუდიანტესი

უნიკახა	1
პამესა	1

უნიკახა 70:82 პამესა

რეალი	2
ფუენლაბრადა	0

რეალი 98:78 ფუენლაბრადა

იყიდება

სამოთახიანი სუფთა ბინა 2 (9), საერთო ფართი 103 კვ. მ. აბაზანა-ტუალეტი რემონტით, ბ/აირით, ბარნოვის ქ. №71 II სად. შესასვლელი კვველიძის ქუჩიდანაც:

ტელ: 22-75-07. 69-52-58



იტალია

მეოთხედფინალი (სამ მოგებამდე)

კინდერი	3
კორდივარი	0

კინდერი 85:65 კორდივარი

აეროპორტი	1
ბენეტონი	2

აეროპორტი 92:78 ბენეტონი

სკავოლინი	2
სნაიდერო	1

სკავოლინი 94:102 სნაიდერო

ფორტიტუდო	3
სიენა	0

ფორტიტუდო 96:65 სიენა

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ფორტიტუდო — სიენა. გრეგორ ფუჩკა (ბურთით) სიენელი სლაი გრეის წინააღმდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალბურთი

რუსეთიდან უმაღლესი ნადავლით დაბრუნებული „ლაგუნა ვერე“ და მისი მთავარი მწვრთნელი სოსო მაისურაძე

პატარა ქართველებმა დიდი რუსები დაჩაგრეს

ზურაბ ჭუმბურიძე, ლადო გურგენიძე, სანდრო შარაშიძე, ოთარ ქოიავა, ავთანდილ და ირაკლი ბაზაძეები, ლევან კვარაცხელია, ზურაბ ანთელავა, ზურაბ რურუა, დავით კალანდაძე, გურამ კოტარია, გიორგი ჩხეიძე, გიორგი ჩუბინიძე და კაპიტანი თამაზ მანძულაშვილი იყვნენ „ლაგუნა ვერეს“ იმ გუნდში, რომელმაც სოსო მაისურაძისა და ირაკლი კიკალიშვილის ხელმძღვანელობით ახლახან რუსეთის ღია პირველობა მოიგო 1985-86 წლებში დაბადებულთა შორის. ოღონდ ქართველთა ნაწილი ასაკით სხვებზე უმცროსი იყო. ისინი 2-დან 7 მაისამდე ჯერ სოფიაში იყვნენ და ევროპირველობის შესარჩევ ტურნირზე ორი წლით უფროსებთან ითამაშეს. 6 ნაკრებიდან ქართველები მე-3 ადგილზე გავიდნენ და ბულგარული ტურნედან საყურადღებო ის იყო, რომ მასპინძლებს უმოტივაციო თამაში არ დაუთმეს.

ეს ასე მოხდა: ჩვენებმა წააგეს ჰოლანდიასთან 3:5, როცა ტიტებისქვეყნელებმა სხვებს სულ 10 და 15 ბურთით მოუგეს, შემდეგ, ბოლო ჩასტვენამდე ნახევარი (!) წამით ადრე, ინგლისისგან დასანანი გოლი გაუშვეს და ფინალურ ტურნირზე გასვლის შანსი დაკარგეს. ამ ვითარებაში ბულგარელთაგან წინადადება მოვიდა თამაშის დათმობის თაობაზე, რადგან ამით ბალკანელები ალბიონელებს გაუსწრებდნენ და ფინალში გავიდოდნენ. ქართველებმა იუკადრისეს და 7:3 მოუგეს მეტოქეს, რამაც ტრიბუნაზე მსხდომი ინგლისელები ალაფრთოვანა. გაჩაღებულა ოვაცია და ხელის ჩამორთმევა, რისთვისაც ბრიტანელებს ერთთვიანი მიპატიჟებაც თან დაურთავთ. ქართველთა საქციელი მოსწონებიათ პორტუგალიელებსაც და ახლა იმათ დაუპატიჟიათ ჩვენები, მაგრამ ეს მერე, მანამდე კი იყო რუსეთის ღია პირველობის ფინალი, რომელიც მოსკოვში შედგა და, სოსო მაისურაძის თქმით, რომელიმე იქაური გუნდის გამარჯვებით უნდა დამთავრებულიყო. ამგვარად „გადაუწყვეტიათ“ ორგანიზატორებს.

ჯერ მოსკოვში გამგზავრება გახდა პრობლემა. იჯიგრა ავიაფირმა „ავიო ექსპრეს კრუიზმა“ და ჟარგონზე რომ ვთქვათ, „პოსლეზე“ მისცა ბილეთები წყალბურთელებს, დანარჩენი ფულის შოვნის ამბავში კი მთავარი როლი დათო რურუამ ითამაშა, თბილისის „დინამოს“ ექსკაპიტანმა. ფინალში 24-დან 8 გუნდმა ითამაშა და პლეი ოფში „ლაგუნა ვერეს“ ცსკა შეხვდა, იქით კი „ბურევესტნიკი“ და „ტრუდოვიე რეზერვი“ თამაშობდნენ, ანუ თბილისისა და სამიც მოსკოვის გუნდები.

ქართველებს წინასწარ შეხვედრებში ცსკა-სთან წაგებული ჰქონიათ, მაგრამ ამჯერად 8:7 მოუგეს და ფინალში „ბურევესტნიკს“ შეეჯახნენ. მძაფრი ფინალი იყო. პირველი ბურთი რუსებმა შეაგდეს, მთლიანი ბრძოლის დინამიკა კი იხილეთ — 0:1, 2:1, 2:4, 5:4 და ბოლო წუთზე „ბურევესტნიკმა“ ანგარიში გაათანაბრა. დამატებით ტაიმებში ანტიქართული ტენდენცია გამოიკვეთა, ზედიზედ 3 „ლაგუნელი“ გააგდეს, მაგრამ ჩვენებმა გაიტანეს და აღარ გაუშვეს. შედეგად 6:5 და პირველი ადგილი.

ქართველების გამარჯვებას ისიც ალამაზებს, რომ რუსულმა გუნდებმა წინასწარი ტურნირების შემდეგ დამარცხებულთაგან საუკეთესო მოთამაშეების დამატების უფლება მიიღეს, ჩვენებს კი აბა, ვინ უნდა მიშველებოდა?

„ბურევესტნიკის“ სპეციალისტებს მაისურაძისა და 5 წყალბურთელისთვის დარჩენა და რიგიან პირობებში ვარჯიში შეუთავაზებიათ, მაგრამ უარი მიულიათ, თუმცა, მაისურაძის თქმით, აქაურ და იქაურ პირობებს შორის დიდი უფსკრულია. „მაგრამ მთავარი მაინც სათამაშო პრაქტიკაა — ამბობს მწვრთნელი — გუნდმა წელიწადში 100-120 მატჩი უნდა ითამაშოს, ჩვენ კი 25 ძლივს გამოგვივა. ამიტომ ვამბობ, რომ იმ კარგად ნათამაშევ გუნდებთან გამარჯვება უბრალო საქმე არ არის, გმირობის ტოლფასია“.

„ლაგუნა ვერეს“ ჯერჯერობით სააქციო საზოგადოება „სამგორი“ და თბილისის საბაჟო ეხმარებიან. კარგი იქნება, თუ სხვებიც ყურადღებას მიაქცევენ: „ლაგუნა ვერეს“ ამ თაობას ბევრი შეუძლია.

დავით გულუა

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	I სავაჭრო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
გორი	სტალინის ქუჩა №30	ჭადრაკის კლუბი
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №61	ყოფილი გორკის ქუჩა
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

① ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ

② შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება

③ შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)

④ მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში

⑤ წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი

⑥ არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

პრეზიდენტი: ჩემი ბიჭი სოკ-ის კარგი წევრი იქნება

სამარანჩი მიდის, სამარანჩი მოდის



უფროსი სამარანჩი უმცროს სამარანჩზე ჩაფიქრებულა

მოსკოვში სოკ-ის სესიაზე გარდა იმისა, რომ 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლისა და ამ ორგანიზაციის ახალი საჭეთმპყრობელის ვინაობას შევიტყობთ, სპორტის ეს უმაღლესი ორგანო ახალ წევრებსაც გაუღებს კარს. მსოფლიოს სპორტის ყველაზე გავლენიან ორგანიზაციაში განევრიანების მსურველები კი მრავლად არიან. შესაძლოა სოკ-ის წევრობის კანდიდატებზე მკითხველის ყურადღება არც გაგვემახვილებინა, რომ არა ერთი ცნობილი გვარი — სამარანჩი, სახელად ხუან ანტონიო. დაბნეულობის თავიდან ასაცილებლად ერთი სიტყვაც კმარა — უმცროსი.

ხუან ანტონიო სამარანჩი უმცროსი, იგივე ხუანიტო, როგორც მას მეგობრები ეძახიან, სოკ-ის ახლანდელი პრეზიდენტის სამარანჩის შვილია.

სამარანჩი უმცროსი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მმართველი აღმასრულებელი საბჭოს მიერ შემოთავაზებული იმ შვიდი კანდიდატიდან ერთ-ერთია, რომელსაც სოკ-ის ახალ წევრად მოიაზრებენ. თუმცა, პირობითად შეგვიძლია ამას აღმასრულებელი საბჭოს შემოთავაზება ვუწოდოთ, რადგან ყველაფრის თავი და თავი მამაა. შვილის ოლიმპიურ კალთაში ჩასასმელად სამარანჩმა უფროსმა იგი თავად წარადგინა.

სოკ-ის გენერალური დირექტორის ფრანსუა კარარის თქმით, ამაში უჩვეულო არაფერია. საქმე ისაა, რომ სოკ-ის ისტორიაში მსგავსი ფაქტი არაერთი ყოფილა. კარარის თქმით, წარსულში მათ რიგებში სოკ-ელთა შვიდი თუ რვა შვილი გაწევრიანებულა.

სხვათა შორის, იმ შვიდეულის ერთ-ერთი წევრი ინდოეთის ეოკ-ის გენერალური მდივანი რანდირ სინგჰი, ყოფილი სოკ-ელის კუმარ ბპალენდრა სინგჰის ვაჟია, უფროსი სინგჰი კი სოკ-ში 1947-1992 წლებში მოღვაწეობდა.

თუმცა, ახლა პირველადაა, რომ სოკ-ის პრეზიდენტის შვილი ამ ნომინაციაზე წარადგინეს.

„სოკ-ის პრეზიდენტის შვილობა არავის აძლევს იმის უფლებას, რომ ის ამ ორგანიზაციის წევრად მიიღონ. იმავდროულად, სოკ-ის პრეზიდენტის შვილობა არც იმას ნიშნავს, რომ მას ამ ორგანიზაციის წევრობა ეკრძალება. არჩევის შემთხვევაში უმცროსი სამარანჩი სოკ-ის წევრი გახდება ესპანეთიდან — განმარტავს კარარი და იქვე დასძენს — ისიც ისეთივე კანდიდატია, როგორიც სხვები. იგი ყველა საჭირო მოთხოვნას აკმაყოფილებს. შეშფოთების არანაირი მიზეზი არ არსებობს“.

კარარი უფრო შორს წავიდა და თქვა, ჩვენ მსოფლიოს უდიდესი დემოკრატიული სახელმწიფოს რამდენიმე საინტერესო მაგალითი გვაქვსო, ნიმუშად კი აშშ-ის პრეზიდენტების მამა-შვილ ბუშების ოჯახი მოიყვანა.

მიუხედავად იმისა, რომ 41 წლის ხუან ანტონიო ერთადერთი კანდიდატია ესპანეთიდან, ამან შეიძლება სოკ-ის რეპუტაციაზე უარყოფითად იმოქმედოს. უმცროსი სამარანჩი საერთაშორისო და ეროვნულ სპორტულ ასპარეზზე საკმაოდ აქტიურ როლს ასრულებს. მას ამაში თანამედროვე ხუფჭიდის საერთაშორისო ფედერაციის პირველი ვიცეპრეზიდენტობაც უწყობს ხელს. მაგრამ...

მაგრამ შესაძლოა სოკ-ს კრიტიკის ახალი ქარცეცხლი დაატყდეს. მასში უმცროსი სამარანჩის გაწევრიანების შესაძლებლობის დაშვება კვლავაც განამტკიცებს მოსაზრებას, რომ სოკ-ი თვითმოსახურეთა კერძო კლუბად ანუ კარჩაკეტილ ორგანიზაციად რჩება. საქმის ვითარებას ამძაფრებს ისიც, რომ სოკ-ს სოლტ ლეიკ სიტის სკანდალის აჩრდილისგან თავი ბოლომდე ვერ დაუღწევია.

ასეა თუ ისე, ზოგს ყოველივე ეს კანონზომიერად მიაჩნია და ამაში უჩვეულოს ვერაფერს ხედავს.

„შეჭველია, რომ უმცროსი სამარანჩი ერთადერთი სოკ-ელის შვილი არაა, ვისაც ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება სურს. ის ახალი და ახალგაზრდა კანდიდატია მნიშვნელოვანი ქვეყნიდან, რომელსაც ძალზე დიდი ტრადიციები გააჩნია ოლიმპიურ მოძრაობაში“ — გვამშვიდებს თავად პრეზიდენტობის კანდიდატი, კანადელი დიკ პაუნდი.

კანადელისგან განსხვავებით კომენტარისგან თავი შეიკავა მისმა ბელგიელმა მეტოქემ ჟაკ როგმა.

„უამრავი მიზეზის, უპირატესად კი პირადი მოსაზრებების გამო, ამას კომენტარს არ გავუკეთებ. ეს ის უიშვიათესი შემთხვევაა, როდესაც კომენტარისგან თავს ვიკავებ“ — ფრთხილობს პრეზიდენტობის ერთ-ერთი ფავორიტი.

უმცროსი სამარანჩის მომხრეთა შორისაა სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი, ამერიკელი ანიტა დეფრანცი.

„ცუდი არაფერია იმაში, რომ პრეზიდენტის შვილიც მოღვაწეობდეს სოკ-ში. მე საკმაო ხანია ვიცნობ ხუანიტოს. იგი აქტიურ როლს ასრულებს სპორტში. მე ვიცნობ მის მოღვაწეობას“ — აცხადებს სოკ-ის პრეზიდენტობისთვის მებრძოლი ერთადერთი კანდიდატი ქალი

საინტერესოა, რომ მათ ერომანეთი ლოს ანჯელესის 1984 წლის ოლიმპიურ თამაშებზე გაიცნეს. მაშინ უმცროსი სამარანჩი მოხალისე მძღოლად მუშაობდა.

სხვათა შორის, როდესაც დეფრანცს სოკ-ის კარჩაკეტილობის იმიჯზე ჩამოუგდეს სიტყვა, მან ბევრი თავის თანამემამულისგან განსხვავებით განაცხადა, რომ სოკ-ის ძველ ბიჭებს შრომას წყალში ნუ გადავუყრით, რადგან მათი დამსახურებაა, რომ ორგანიზაციამ და ოლიმპიურმა თამაშებმა, რომელიც აგერ უკვე საუკუნეა რაც არსებობს, მეორე მსოფლიო ომსა და ცივ ომს გაუძლო.

„ეს ის ხალხია, ვინც დღევანდლამდე მოიყვანა საქმე. მოდით, ამას ნუ დავივიწყებთ“ — მოგვიწოდებს დეფრანცი.

საინტერესოა თავად სოკ-ის პრეზიდენტის მიერ მოვლენების შეფასება. სამარანჩი უფროსი კითხულობს, თუ თეთრ სახლში შეიძლება არსებობდეს ბუშების დინასტია, მაშინ რატომ არ შეიძლება, სოკ-ში სამარანჩების ოჯახის შემკვიდრეობითობა?

„აშშ კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ გაჰყვა შვილი მამის ნაკვალევს“ — აი, ასეთი არგუმენტით დაიცვა თავი ესპანელმა მარკიზმა, უფრო სწორედ თავისი მემკვიდრე.

„არ მესმის ამ წინააღმდეგობისა. მე შვილის კანდიდატურა სოკ-ის აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით წარმოვადგინე, რადგან, ვფიქრობ, რომ ჩემი ვაჟიშვილი სოკ-ის კარგი წევრი იქნება. თუმცა, ამას არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს. სულაც არ ვაპირებ მის გაპრეზიდენტებას. მე მხოლოდ მისი გაწევრიანება მსურს“ — მოწინააღმდეგეებს ასე შეუტია სამარანჩმა.

დაბალულობის ფონზე საინტერესოდ ჟღერს სოკ-ის მაღალჩინოსნის, შვეიცარიელი მარკ ჰოდლერის მოსაზრება. მისი აზრით, სამარანჩ უმცროსის სოკ-ში გაწევრიანებამ შესაძლოა ქალთა ამ ორგანიზაციით დაინტერესება გამოიწვიოს.

„მე მას ვიცნობ. ის კარგი ბიჭია, თანაც ძალზე სასიამოვნო გარეგნობის. შესაძლოა ამ კაცმა სოკ-ისკენ ქალბატონების მზერაც მოიპყროს“. საკითხს ასე პრაქტიკულად უდგება ჰოდლერი.

და მაინც, როდესაც სამარანჩებზე ვსაუბრობთ, გვახსენდება ერთი სკანდალური ისტორია, რომელიც უმცროს სამარანჩს ეხება. სამარანჩი უმცროსი მადრიდშიც საქმიანობს და ამ ოთხიოდე წლის წინათ მრავალმილიონიან ფინანსურ მაქინაციაში გაება. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ხუანიტოს თანამემამულე ცნობილი ბიზნესმენი ხავიერ დელა როსა მაქინაციაში ამხილეს, ამას კი ვირის აბანო მოჰყვა. თუმცა, 20 მილიონი დოლარის გირაოთი დატოვების შემდეგ, იგი სასამართლომდე გათავისუფლეს. მაგრამ, ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ საჭრობილეში ლამის სამარანჩ უმცროსსაც უკრეს თავი.

საქმე ისაა, რომ კომპანია „გრან ტიბიდაბოს“ ხელმძღვანელ დე ლა როსას მარჯვენა ხელი თურმე ხუანიტო ყოფილა. ბუნებრივია, ბრალდება სამარანჩის ვაჟსაც წაუყენეს, მან კი ყველაფერი კომპანიის პრეზიდენტს დაბრალა, აქოდა მისი საფინანსო ოპერაციებისა მე არაფერი ვიცოდი. მაშინ მისი პასუხით გაოცებულმა მოსამართლემ ჰკითხა: „კი მაგრამ, თქვენ მისი მთავარი მრჩეველი არ იყავით? აბა, ფულს რაში გიხდიდათ?“

ბოლოს ის სასამართლო პროცესი დავიწყებას მიეცა. თუმცა ამბობენ, რომ ეს საქმე მამა სამარანჩმა მოაგვარაო.

ასეა თუ ისე, 16 ივლისი სამარანჩების ოჯახისთვის ისტორიული დღე იქნება. ამ დღეს ესპანელი მარკიზი, რომელიც სოკ-ში 21 წელიწადს მთავარ როლს ასრულებდა, სცენას დატოვებს. ეტყობა, იმავე დღეს უმთავრეს ოლიმპიურ სცენაზე თავის პირველი ნაბიჯს გადადგამს მისი ვაჟი. თუმცა, ხუან ანტონიო მარტო არ იქნება. მასავით პირველ ნაბიჯებს გადადგამენ სხვებიც, მათ შორის შვეიცარიის ყოფილი პრეზიდენტი და თავდაცვის მინისტრი ადოლფ ოგი.

სხვათა შორის, მისი გაწევრიანებით სოკ-ში შვეიცარიელთა რაოდენობა ექვსამდე გაიზრდება და ეს ნეიტრალური ქვეყანა ამ მხრივ ყველაზე წარმომადგენლობითი იქნება.

რაკი წევრთა რაოდენობაზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე იმასაც გეტყვით, რომ ხუთი სოკ-ელით მეორეა იტალია, მას ოთხ-ოთხი წევრით მოყვებიან აშშ და კანადა. თუმცა, მათ მალე ავსტრალიაც დაემატება. ავსტრალიის ეოკ-ის პრეზიდენტი ჯონ კოუტსი სოკ-ში სამ თანამემამულეს შეუერთდება.

კანდიდატთა შორის არიან ასევე ჰონკონგის ეოკ-ის ხელმძღვანელი ტიმოთი ფოკი და კამერუნელი ფეხბურთის დიდმოხელე ისა ჰაიატუ აგრეთვე ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჰოლანდიელი ელს ვან ბრედა ვისმანი, რომელიც სოკ-ის წევრობის ერთადერთი კანდიდატი ქალია.

აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიელი ვისმანის სოკ-ში გაწევრიანებით იქ ქალბატონთა რაოდენობა 14-მდე გაიზრდება.

რაც შეეხება არჩევნებს, იგი ფარული კენჭისყრით ჩატარდება. თუმცა, ფორმალურად თუ ვუწოდებთ ამას არჩევნებს, რადგან სოკ-ის წევრობის 76 კანდიდატიდან „შესანიშნავი შვიდეულის“ შერჩევა ფაქტობრივად უკვე მათ დელეგატობას ნიშნავს.

გიგა გურასაშვილი

ტაი-ბრეიქი

ანა კურნიკოვა როლან გაროსზე ვერ იასპარეზებს

პარიზი ანას გარეშე

ორშაბათს სეზონის მეორე დიდი სლემის ტურნირი, საფრანგეთის ღია პირველობა, რამდენიმე ვარსკვლავის გარეშე აიღებს სტარტს. ყველაზე დიდი დანაკლისი ორგანიზატორებისა და ძლიერი სქესის ქომაგებისთვის უეჭველად ჩოგბურთის სექს-სიმბოლოს, ანა კურნიკოვას არყოფნა იქნება.

19 წლის რუსს თებერვალში პარიზის ღია პირველობიდან მოყოლებული აღარსად უთამაშია. მაშინ ამელი მორესმოსთან მეოთხედფინალურ მატჩში მან მუცლის კუნთი დაიჭიმა, რამდენიმე დღეში კი ვარჯიშის დროს გაცილებით სერიოზული ტრავმა მიიღო — მარცხენა ფეხის ძვალი გაიბზარა. 1999-ში ასეთივე მიზეზით კურნიკოვამ ოთხი თვე გამოტოვა და ეტყობა, ახლაც დაახლოებით იმავე დროით დაისვენებს.

ვერ იასპარეზებენ როლან გაროსზე ეისმენები — მარკ ფილიპუსისი და რიჩარდ კრაიჩეკი. „სკადი“ მუხლის ოპერაციის შემდეგ თებერვალში მეტისმეტად ადრე დაუბრუნდა ATP-ს, კიდევ უფრო სერიოზულად დაშავდა და აპრილში ხელმეორე ოპერაციაც გაიკეთა. ამიტომ შეიძლება უიმბლდონსაც მხოლოდ ტელევიზორში უცქიროს. რიჩარდ კრაიჩეკი თავადაც ხშირად უჩივის მუხლის ტკივილს და ამ ორგანოს ქირურგიულ დამუშავებაში ჭიპი აქვს მოჭრილი, თუმცა ამჯერად პარიზს მხრის ტრავმის გამო დააკლდება.

ეჭვქვეშაა საფრანგეთის ღია პირველობაზე ელენა დემენტიევასა და ლინდსი დევენპორტის თამაშიც. ტურნირმა შეიძლება კიდევ ერთი ფავორიტი — ხუან კარლოს ფერერო დაკარგოს. 21 წლის ესპანელი წლეულს თიხნარზე საუკეთესო იყო, ემტორილის, ბარსელონასა და რომის პირველობებზეც იმარჯვა, მაგრამ კვირას ჰამბურგის მასტერსის სერიის ტურნირის ფინალში საზარდული დაიზიანა.

„როლან გაროსი ხვალ რომ იწყებოდეს, მაშინ იქ ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვითამაშებდი, საზარდული სირბილის კი არა, უბრალოდ სიარულის დროსაც მტკივა. უპრიანი იქნებოდა, მატჩის დასრულებაზე უარი მეთქვა, მაგრამ რაკიღა ფინალი იყო, გავრისკე. რამდენიმე დღეში მდგომარეობა თუ არ გამიუმჯობესდა, პარიზში ასპარეზობას აზრი არ ექნება“ — განაცხადა დიუსელდორფში ექიმის მონახულების შემდეგ ფერერომ, რომელიც ორშაბათს კლასიფიკაციაში მეოთხე ადგილზე აღზევდა.

როცა ფსონი სიცოცხლეა

კორინა მორარიუს, ქალთა წყვილებში 1999 წლის უიმბლდონის ჩემპიონს, ლეიკემიის იშვიათი ფორმა დუდგინეს და ამჟამად ფლორიდის ერთ-ერთ სპეციალიზებულ კლინიკაში მკურნალობს.

„კორინა ნამდვილი მებრძოლია, თანაც ხასიათით ოპტიმისტი. ჩვენ მასზე ვლოცულობთ, მისი ოჯახის გვერდით ვართ და სწრაფ გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ“ — განუცხადა ჟურნალისტებს ამერიკელი ჩოგბურთელის პირადმა აგენტმა დევიდ ეჯისმა.

მორარიუმ პირველად ორი კვირის წინ, ბერლინში მიმდინარე გერმანიის ღია პირველობაზე იგრძნო თავი ცუდად. მას ასპარეზობაზე უარის თქმა და შინ დაბრუნება მოუხდა. რამდენიმე დღეში მაიამიში გაკეთებული სამედიცინო გამოკვლევის დიაგნოზი საგანგაშო აღმოჩნდა.

„ეს ლეიკემიის საკმაოდ იშვიათი ფორმაა. კორინა ამჟამად ქიმიოთერაპიის კურსს გადის. მამაც და ძმაც ექიმები ჰყავს, ფლორიდაში მუშაობენ და ყველაფერს იღონებენ სენის დასამარცხებლად“ — დაუმატა ეჯისმა.

23 წლის მორარიუმ 1999-ის უიმბლდონი თავის მუდმივ პარტნიორ ლინდსი დევენპორტთან ერთად მოიგო, წლეულს ავსტრალიის ღია პირველობაზე კი ელის ფერერასთან ერთად შერეულ წყვილებში იმარჯვა. სულ მის ანგარიშზე 12 წყვილების და ერთიც ერთეულების ტიტულია.

ვისი მატჩი გსურს?

ფლეულს ბრიტანელ ტელემაყურებლებს კომპანია BBC რევოლუციურ სიახლეს შესთავაზებს — უიმბლდონის მიმდინარეობისას თითოეულ მათგანს თავად შეეძლება აირჩიოს, ერთდროულად მიმდინარე ხუთი მატჩიდან რომლის ცქერა სურს. ასე რომ, თუ ვინმეს მძაფრი პატრიოტული ცეცხლი არ წვავს და ტიმ ჰენმანს ან გრეგ რუზეცკის გულშემატკივრობის ნაცვლად, ვთქვათ, ანა კურნიკოვას ან მარი პირსის ხილვით დატკბობა უნდა, ამისთვის საკმარისია, დისტანციური მართვის პულტს დაჭიროს ხელი და სასურველი კორტი შეარჩიოს.

გაერთიანებულ სამეფოში დაახლოებით ხუთი მილიონი ოჯახი უკვე სარგებლობს ციფრული სატელიტური სერვისით, რაც აუცილებელია ზემოხსენებული კომფორტით დასატკბობად. დანარჩენებს ამისთვის 100-ფუნტიანი მოწყობილობის ყიდვა მოუხდებათ.

BBC-ზე წლევანდელი უიმბლდონის მატჩების კომენტატორები წარსულში ისეთი ცნობილი ვარსკვლავები იქნებიან, როგორიც ჯონ მაკინროი, მარტინა ნავრატილოვა, იანა ნოვოტნა და ჯონ ლოიდი არიან. მაყურებლები თუ მოიწონებენ, ტელეკომპანია ასევე გააშუქებს გოლფს, სნუკერს და სპორტის სხვა სახეობებსაც.

ავთანდილ სვანიძე

მორაგბე ღვინის ქარხნიდან

ბორჯღალის ასპები

ვანო ნადირაძე

შვიდი წელია, საქართველოს ეროვნული ნაკრების მორკინალი ვანო ნადირაძე საფრანგეთში თამაშობს. რვა წელია, ნაკრების ღირსებას იცავს. ამ ხნის განმავლობაში 29 წლის მორაგბეს 19-ჯერ მოირგო ეროვნული გუნდის მაისურა და სამი ლეღლოც შეჰშატა თავის მრავალისმომცველ კარიერას.

შარშან ვანო ნადირაძე „ელიტ 1"-ში „პერიგოს" სახელით ასპარეზობდა, წლეულს კი სამოყვარულო „ლიბურნში" თამაშობს. ეგებ ვინმემ იფიქროს, ალბათ მწვრნელთან კონფლიქტი მოუვიდა ან გუნდს ვერ მოერგოო, მაგრამ ჭეშმარიტი მიზეზი სულ სხვა რამ გახლავთ. მოდით, თავად ვანოს მოვუსმინოთ და ყველაფერი დღესავით ნათელი გახდება.

ბადრი ჯობლაძის ფოტო

— „პერიგოდან" ჩემი ნებით წამოვედი. კლუბის ხელმძღვანელობასთან არანაირი პრობლემები არ შემქმნია. უბრალოდ, ერთი წელი ჩემი პროფესიით მინდოდა მეშუშავა, „პერიგოში" კი ამის საშუალება არ მქონდა.

— „ელიტ 1"-ის გუნდში მოხვედრაზე ხალხი ოცნებობს. შენ კი ნებით დატოვე „პერიგო"?

— რა ვქნა. ძალიან მინდოდა თეორიული ცოდნა პრაქტიკული მუშაობით გამეღრმავებინა. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი დავამთავრე, მეღვინეობის სპეციალობით. აქ, საფრანგეთში, მეღვინე კაცს ყველანაირი გასაქანი აქვს ნორმალური მუშაობისთვის. თანაც გული ვენახისკენ მიმიწევდა, ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შემეძლო და ელიტარული „პერიგოდან" სამოყვარულო „ლიბურნში" გადავედი, რომელიც „ნაციონალ 3"-ში ასპარეზობდა, წლეულს უკვე „ნაციონალ 2"-ში ავინაცვლეთ, მაგრამ მალე დავტოვებ „ლიბურნს" და სხვა, გაცილებით სერიოზულ კლუბში გადავალ. მე მხოლოდ მეღვინეობის პროფესიულ დონეზე შესწავლა მინდოდა, რაც, ამ ერთ წელიწადში, მოვახერხე კიდეც. ეგ არის, როგორც მორაგბეს, ერთი სეზონი პრაქტიკულად გამიცდა.

— „ლიბურნში" როგორ მიგიღეს?

— კლუბის ხელმძღვანელები სიხარულს ვერ მალავდნენ. ისე კი უკვირდათ, პროფესიული გუნდიდან სოფლის გუნდში გადმოსვლა რამ გაფიქრებინაო, მაგრამ როდესაც ჩემი განზრახვა გაიგეს, უმალ სამუშაო ადგილიც გამომიძებნეს.

— სად მუშაობ?

— ღვინის მწარმოებელი ცნობილი ფირმის „შატოს" ერთ-ერთ ქარხანაში. ძალიან მაღალი ხარისხის წითელ ღვინოს ამზადებენ. ერთი ბოთლის ფასი დაახლოებით ორმოცი ამერიკული დოლარია.

— ცოდნა გაიღრმავე?

— ჩათვალეთ, რომ პროფესიონალი მეღვინე ვარ. ახლა უკვე დროა, რაგბისაც მივხედო.

— ღვინო ვის უფრო კარგი გვაქვს, ჩვენ თუ ფრანგებს?

— ჩემი აზრით, ღვინო ორივეს კარგი გვაქვს. უბრალოდ, აქ უფრო მაღალი ხარისხის ღვინო მზადდება ქარხნული წესით. ტექნოლოგია უმაღლეს დონეზე აქვთ დახვეწილი, ვენახის მოვლაც იციან და მისი ფასიც. მე იმას არ ვამბობ, ჩვენში ვენახის მოვლა არ იციან-მეთქი: როგორ შეიძლება, ვაზის საუკუნოვანი ისტორიის მქონე ერს ვენახის მოვლა დაუწუნო, მაგრამ საფრანგეთში ღვინის დამზადების ყოველ პროცედურას დიდი ყურადღება ექცევა, საქართველოში კი პირიქით ხდება. ჩვენ ოღონდ ყურძენი დავწუროთ და მალე დავლიოთ.

— თვითონ თუ გიყვარს ღვინის სმა?

— ზომიერად.

— რაგბის თავს რომ დაანებებ, ალბათ მეღვინეობის მიჰყობ ხელს...

— აუცილებლად. ვგრძნობ, საჩემო საქმეა. ერთი რაგბის თამაში ვიცი და მეორე მეღვინეობა.

— მით უმეტეს, საქართველოში ამის ყველა პირობა არსებობს.

— ბუნებრივ პირობებს თუ გავითვალისწინებთ, გეთანხმები, მაგრამ მეღვინეობა რომ განვითარდეს, ამისთვის ეკონომიკური ნიადაგიც მზად უნდა იყოს. საქართველოს კი დღეს ძალიან უჭირს. ალბათ მოვა დრო, როდესაც ჩვენი ქვეყანა ფეხზე დადგება და მეღვინე ხალხს უფრო დიდი გასაქანი ექნება. ისე კი აქ, საფრანგეთში, შემიძლია საცხოვრებლად დავრჩე და ჩემი პროფესიით ვიმუშაო.

— ხუმრობ?

— არა. ამ მხრივ პრობლემა არ შემექმნება. შვიდი წელია, საფრანგეთში ვარ და ამ ხნის მანძილზე საკმაოდ შევეჩვიე აქაურობას. უცხო გარემოში სულაც არ ვგრძნობ თავს. ვნახოთ, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს. თუ ჩემი ოჯახის საკეთილდღეოდ იქნება საჭირო, ალბათ საცხოვრებლად საფრანგეთში დავრჩები. ხშირად ჩამოვალ ხოლმე საქართველოში და ახლობლებს მოვინახულებ.

— მგზავრობა სოლიდურ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

— რამეს მოვახერხებ. „ლიბურნში" დაბალი ანაზღაურება მაქვს. სამაგიეროდ, ქარხანაში მიხდიან ნორმალურ ხელფასს. მომავალ სეზონში უფრო სოლიდური კლუბში გადავალ და ფინანსების პრობლემაც ასე თუ ისე გადაწყდება. თანაც აქ ბინის ქირას მე ვიხდი, ასე მოვილაპარაკეთ.

— ძლიერ გუნდში გადავალო, ამბობ. მიწვევა გაქვს?

— დიახ. არის სამი-ოთხი ხელსაყრელი ვარიანტი. სეზონის წინ საუკეთესოს ავირჩევ.

— კერძოდ?

— ერთი მარტივი მიზეზის გამო წინასწარ არაფერს ვიტყვი: კლუბების ვინობა ჯერ მეც არ ვიცი. ტრანსფერების მოგვარებით ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლოდ სორელია დაკავებული. ერთს კი გაგიმხელ. „ელიტ 1"-ის რომელიმე კლუბში გადასვლა ამ ეტაპზე ნაკლებად სავარაუდოა, ყველა წინადადება „ელიტ 2"-ის სოლიდური გუნდებიდან მოდის.

— როგორც მორაგბემ, ერთი წელი ფაქტობრივად გამიცდაო, ამბობ. მაგრამ ეს ნაკრებში შენს თამაშზე პრაქტიკულად არ ასახულა.

— მგონი, ასეა, თუ ტრავმა არ მაწუხებდა, ყოველდღე ვვარჯიშობდი. მუდამ ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობდი. ვერ ვიტყვი, რომ ფორმაში არ ვიყავი. ეგ არის, პროფესიულ რაგბის გარკვეული პერიოდით ჩამოვშორდი, მაგრამ როდესაც ნაკრებმა ამხელა წარმატებას მიაღწია და ცალი ფეხით უკვე მსოფლიოს თასზე ვართ, დროა, ყველა საქმე გვერდზე გადავდო და კარგად მოვემზადო.

— მსოფლიოს თასზე თამაში ნებისმიერი მორაგბის ოცნებაა...

— რომელიც ძალიან ახლოს არის. აქედანვე ვემზადები ამ გრანდიოზული ტურნირისთვის. მსოფლიოს საუკეთესო სტადიონზე, გადაჭედილი ტრიბუნის წინ რომ წარმოვიდგენ ჩემს თავს, ტანში ჟრუანტელი მივლის. ერთი სული მაქვს, როდის გავა ეს ორი წელი.

— უკვე 29 წლის ხარ. მსოფლიოს თასი შენი კარიერის პიკი იქნება?

— მე მგონი. ალბათ მერე მოვა დრო, როდესაც ნაკრებს გამოვეთხოვები, თუმც რაგბის თამაშს თავს არ დავანებებ. ჩემი სიამოვნებისთვის კიდევ რამდენიმე წელს ვითამაშებ.

— ვიცი, დაოჯახებული ხარ. ცოლშვილიც საფრანგეთში ცხოვრობს?

— დიახ, ერთად ვართ.

— მეუღლე მუშაობს?

— ადგილობრივ საავადმყოფოში მუშაობს. მართალია, ექიმის დიპლომი აქვს, მაგრამ უფრო დაბალი რანგის მედპერსონალად უწევს მუშაობა. ცოტა ძნელია, უცხო ქვეყნიდან ჩამოსული აქ პრესტიჟულ სამსახურში მოეწყოს.

— ბავშვი რამდენი წლისაა?

— 3 წლის გოგონაა. ელიზა საბავშვო ბაღში დადის. ისე გამართულად ლაპარაკობს ფრანგულად, ხანდახან მის ქართველობაში ეჭვიც მეპარება. ბაღში ფრანგულად საუბრობს, შინ — ქართულად.

— დაბოლოს, იქნებ გაიხსენო, საფრანგეთში როგორ მოხვედი.

— საქართველოში მუდამ ერთ კლუბში ვთამაშობდი. ეს იყო „შევარდენი", რომელიც ჩემი ინსტიტუტის გუნდი იყო და ცნობილი სპეციალისტი რამაზ სანებლიძე წვრთნიდა. 1994 წელს ცხონებული ლაშა გეგენავას და რამაზ სანებლიძის დიდი დახმარების და რეკომენდაციის შემდეგ საფრანგეთში გავაგრძელე კარიერა. სხვათა შორის, ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც საქართველოდან უცხოეთში წავიდა სათამაშოდ.

ბაჩო სვანიძე

2001 წლის 17 მარტი. საქართველო — ესპანეთი.
ვანო ნადირაძემ კიდევ ერთი აუტი მოიგო

გია ახალაძის ფოტო

იყიდება

ორითახიანი სუფთა ბინა 30 კვ. მ. მიშენებით.
დიღმის მასივი, IV კვარტალი, მე-19 კორპუსი,
პირველი სართული. ფასი შეთანხმებით
ტელ: 397 198. 959 032. 8 77 428283



იყიდება

ორსართულიანი კერძო ბინა დოლიძის ქუჩაზე,
170 კვ.მ. საერთო ფართით, ვარაჟით,
50 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი. ფასი შეთანხმებით
ტელ: 78 28 77

ფერარი გარანტიებს მოერიდა

FIA FORMULA 1 კვირას მონაკოს დიდი პრიზი გათამაშდება — ფორმულა 1-ის ყველაზე პრესტიჟული ჯილდო. უშუალოდ რბოლამდე მონაწილეთათვის რამდენიმე განსატვირთი ღონისძიებაა გათვალისწინებული.

ხვალ საღამოს ტრადიციული საფორმულო წვეულება გაიმართება, მანამდე კი სიახლეს ჩაეყრება საფუძველი — ყოველი ეტაპის წინ გოლფის ტურნირი მოეწყობა. გართობის დედაქალაქის საგოლფე მინდორზე ერთმანეთს გაეჯიბრებიან რუბენს ბარიკელო (ფერარი), ფერნანდო ალონსო (მინარდი), ნიკ ჰაიდფელდი (ზაუბერი), აგრეთვე გუნდების ბოსები ედი ჯორდანი და კრეიგ პოლოკი (BAR). მათ შეუერთდებიან მონაკოს პრინცი ალბერ გრიმალდი და ფეხბურთის ბრაზილიელი ვარსკვლავი რონალდო.

გუშინწინ კი მონაკოს ულამაზეს სტადიონზე, ლუი მეორის სახელი რომ ჰქვია, ყოველწლიური საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩი შედგა ფორმულისა და სხვა ვარსკვლავთა გუნდებს შორის. თამაში ერთი თვის წინ დაღუპული ცნობილი იტალიელი მრბოლის, მიქელე ალბორეტოს ხსოვნას უძღვნეს, მთელი შემოსავალი კი ტრადიციულად ბავშვთა დაცვის ფონდში გადაირიცხა. ფორმულელებს პილოტთა შორის საუკეთესო ფეხბურთელი მიხაელ შუმახერი კაპიტნობდა, მეორე მხარეს — პრინცი ალბერი. მინდორზე კი იყვნენ იარნო ტრული (ჯორდანი), ჯანკარლო ფიზიკელა (ბენეტონი), ოლივიე პანი (BAR), ალესანდრო ძანარდი (რეინარდი), ყოფილი მრბოლები — რიკარდო პატრეზე, გერჰარდ ბერგერი, ივან კაპელი, აგრეთვე მძლეოსნები, სერგეი ბუბკა და ფრენკი ფრედერიქსი, მოთხილამურე ალბერტო ტომბა, მოტომრბოლი მაქს ბიაჯი...

მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა, რომელიც შეხვედრის მიწურულს შუმახერის მორიგი გარღვევისა და ზუსტი ჩაწოდების შემდეგ პანიმ გაიტანა.

ახლა უფრო მნიშვნელოვანზე. როგორც წესი, გუნდები მრბოლებთან სამომავლო ხელშეკრულებებს შუა სეზონში აფორმებენ. „ფერარიმ" კი თავის პილოტებთან ურთიერთობა გაცილებით ადრე გაარკვია. თითქმის ყველას ეგონა, რომ „სკუდერიის" პრეზიდენტი ლუკა დი მონტეზემოლო ბარიკელოს დაითხოვდა. 29 წლის ბრაზილიელის „ფერარიში" ყოფნის ვადა წლის ბოლოს იწურება, თანაც მიმდინარე ჩემპიონატში საქმე მაინცდამაინც კარგად ვერ მისდის. ვითარება უფრო გაამწვავა ბოლო ეტაპზე მისთვის დამამცირებელმა ბრძანებამ, მიხაელი წინ გაეშვა. ერთი სიტყვით, ყველაფერი რუბინიოს საწინააღმდეგოდ მეტყველებდა, მაგრამ მარანელოში სხვაგვარად გადაწყვიტეს და ბარიკელოსთან თანამშრომლობა ერთი წლით გააგრძელეს. ამით „ფერარიმ" საქვეყნოდ აღიარა, რომ რუბენსსა და ხელმძღვანელობას შორის ყველა საორჭოფო საკითხი მოგვარებულია. თავად მიხაელმაც, რომლის იტალიაში მუშაობა გაისად უნდა დასრულებულიყო, ახალ ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი „ფერარის" საჭეს 35 წლამდე მართავს და კარიერასაც, ალბათ მაშინ დაამთავრებს.

„მე არაერთხელ აღმნიშნავს ის კომფორტული პირობები, რაც „ფერარიში" მაქვს და რომ „სკუდერიას" ჩემს მეორე ოჯახად ვთვლი. მოხარული ვარ, რომ ჩემი აქ ყოფნა ორი წლით გაგრძელდა. მჯერა, ახალ დიდ წარმატებებს მივაღწევ, რადგან „ფერარის" ბოსი ჟან ტოდტი და მთავარი კონსტრუქტორი რორი ბირნიც ამდენივე ხნით დარჩებიან „სკუდერიაში" — აღნიშნა შუმახერმა.

გუნდის მიერ გავრცელებულ ამ ცნობაში არაფერია ნათქვამი ხელშეკრულების ფინანსურ მხარეზე. სავარაუდოა, რომ შუმის ისედაც ზღაპრული წლიური ჯამაგირი — 30 მილიონი დოლარი თითქმის არ გაიზრდება. რაც შეეხება ბარიკელოს, ინფორმირებული წყაროები რვა მილიონს ასახელებენ.

გია ახალაძე

ჯიროს დ'იტალია

მთამ ისევ აშრია



AFP მონტევერჯინე და მერკოლიანოდან

დარიო ფრიგო თავის ველოს წამლობს

„ტელეკომის“ გერმანელმა პეპელამ დანილო ჰონდომ, რომელმაც ორშაბათს „ჯიროს“ მეორე ეტაპი მოიგო, სამშაბათის ფინალურ სპრინტშიც ივარგა და ზედიზედ მეორედ ავიდა პოდიუმზე, რაც ძალიან დიდი წარმატებაა. ის ხომ ჩვეულებრივ მხოლოდ დიდი გერმანელი სპრინტერის და „ტურის“ ხუთგზის მწვანე მაისურას მფლობელ ერიკ ზაბელის დუბლიორია. თუმცა ახლა იტალიაში „ტელეკომის“ ხელმძღვანელებმა აქცენტი მასზე გააკეთეს და არც შემცდარან.

ჰონდოს მთავარი მეტოქე ამჯერად იტალიელი ენდრიო ლეონი იყო, რომელსაც 27 წლის კოტბუსელმა ბოლო 500 მეტრზე გაუმართა ფიცხელი ბრძოლა. გერმანელი იტალიელმა თანაგუნდელმა ჯოვანი ლომბარდიმ გამოაქანა მშვენივრად. იგი უკანასკნელ 100 მეტრზე დაწინაურდა და ლეონის ნახევარი ბორბლითაც აჯობა.

წლევანდელი „ჯიროს“ უკიდურეს სამხრეთ წერტილში გამარჯვება რომ ეზეიმა, ჰონდოს საკმაოდ დაეხმარნენ საერთო ჩათვლის ლიდერის, ბელგიელი ერიკ ვერბრიუგეს თანაგუნდელები. მათ ვარდისფერი მაისურას კიდევ ერთი დღით მაინც შენარჩუნება უნდოდათ.

სწორედ ლოტოელები ცდილობდნენ ყველა შეტევის გაუვნებლებას, რაც კარგადაც გამოუვიდათ და ამიტომაც პელოტონი პოტენძაში დაურღვეველი მივიდა. არადა, ფინიშამდე 60 კილომეტრით ადრე ვერბრიუგე და მისი თანაგუნდელი რიკ აერტსი წაიქცნენ და მცირედი ტრავმებიც მიიღეს, მაგრამ რბოლის გაგრძელება მაინც შეძლეს. მართალია, პელოტონის დაწევაში საკმაოდ ენერგია დახარჯეს, მაგრამ ვერბრიუგემ ვარდისფერი მაისურა ერთი დღით კიდევ შეინარჩუნა.

გუშინ პირველი მთის ეტაპი გაიმართა და საერთო ჩათვლის ლიდერიც მაშინვე შეიცვალა. ვერბრიუგე აღმართებზე ვერ ვარგობს, რადგან ინდივიდუალური რბოლების სპეციალისტია და მისი გადასწრება დარიო ფრიგომ შეძლო. ისე, ბელგიელს სხვამაც ბევრმა გაასწრო.

მონტევერჯინე დი მერკოლიანოს ფინიშზე ეტაპის გამარჯვებულის ბედი სპრინტმა გადაწყვიტა, მაგრამ არა ჯეუფურმა. წვიმიან ამინდში საბოლოო აღმართი 17-კილომეტრიანი იყო და მისი ავლის შემდეგ მრბოლები ზღვის დონიდან 1270 მეტრ სიმაღლეზე აღმოჩნდნენ. პელოტონიც სწორედ ამ დროს დაირღვა და საერთო ჩათვლაში დიდი რაოდენობის ცვლილებებიც ამის შედეგია.

მარკო პანტანი, რომელსაც მთის ფერდობებზე შეფენილი მაყურებლები გაშმაგებით ქომაგობდნენ, ბოლო ორ კილომეტრზე ჩამორჩა და დი ლუკასთან 32 წამი წააგო. გერმანელი იან ულრიხი თავიდანვე ვერ მიჰყვა დანარჩენებს და 8 წუთზე მეტი დათმო. ვერბრიუგემ კი პირველებზე 4 წუთით და რაღაც წამებით გვიან გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

მთის მისადგომებთან ფრიგოსა და 1999 წლის „ჯიროს“ ვიცე-ჩემპიონ პაოლო სავოლდელის ველოებმა უმტყუნეს. თუ ფრიგომ მოწინააღმდეგეებთან შეერთება შეძლო, სავოლდელიმ მას ვერ მიბაძა და საბოლოოდ 2 წუთზე მეტი წააგო. პელოტონის დანაწევრება კი სიმონის თანაგუნდელებმა გამოიწვიეს, რომლებმაც აღმართის დასაწყისშივე გაზარდეს ტემპი და თავიანთ ლიდერს და რამდენიმე სხვა ფავორიტს ერთი-ორი მეტოქე საკმაოდ ჩამოაშორეს საერთო ჩათვლაში.

სპრინტი წმინდა იტალიური გამოდგა — პირველი ხუთი ადგილი სწორედ აპენინელებმა მოიპოვეს. დანილო დი ლუკამ კი დაამტკიცა, რომ ნამდვილად ამომავალი ვარსკვლავია და ერთი-ორი წლის შემდეგ ეგებ რომელიმე დიდი ტურიც მოიგოს.

ბაბი გურული

მესამე ეტაპი

ლუჩერა — პოტენძა. 149 კმ

1. დანილო ჰონდო (გერმანია, ტელეკომი) 3 სთ 44 წთ 30 წმ
2. ენდრიო ლეონი (იტალია, ალესიო)
3. ანდრეი ჰაუპტმანი (სლოვაკეთი, ვინი კალდიროლა)
4. მასიმო სტრაძერი (იტალია, მობილვეტა)
5. დავიდე რებელინი (იტალია, ლიკიგასი) ყველას იგივე დრო

მეოთხე ეტაპი

პოტენძა — მონტევერჯინე დი მერკოლიანო. 169 კმ

1. დანილო დი ლუკა (იტალია, კანტინა ტოლო) 4 სთ 34 წთ 12 წმ
2. ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე)
3. სტეფანო გარძელი (იტალია, მაპეი)
4. ჯულიანო ფიგუერასი (იტალია, პანარია)
5. დავიდე რებელინი (იტალია, ლიკიგასი) ყველას იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1. დარიო ფრიგო (იტალია, ფასა ბორტოლო) 17 სთ 21 წთ 19 წმ
2. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) +12 წმ
3. ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) +13
4. ვლადიმირ ბელი (იტალია, ფასა ბორტოლო) +17
5. ფუზე აზევედო (პორტუგალია, ონსე) +19

ასტანის სუპერტურნირი

გარი კასპაროვს მესამე ტურში ვლადიმირ კრამნიკისა და ალექსეი შიროვის დაფა თავისაზე არანაკლებ აინტერესებდა

ახალგაზრდავ, კასპაროვი ვარ!

ალექსანდრ მოროზევიჩი მეორე ტურში წაგებას გაეცოფებინა და ენერგიულად მივარდა ასტანის სუპერტურნირზე მესამე პარტიის სათამაშოდ, თეთრებით მიწისძვრა უნდა მოვახდინოო. მართლაც, სიცილიური დაცვის ნაიღორფის ვარიანტში მოროზევიჩის ფიგურები დებიუტის მიწურულშივე ეძგერნენ შავი მეფის მწყობრად მდგარ პაიკებს, მაგრამ მათი პატრონი გარი კასპაროვი იყო და ძვრა ვერ უყვეს. ფიცხმა მოროზევიჩმა ხელმეორედ შეტევა ვერ მოასწრო, რომ ლაზიერის ფრთაზე მოულოდნელად ამოძრავდა კასპაროვის განაპირა პაიკი და მეტოქე გასაჭირში ჩააგდო. კოხტა პარტიის შუაში კასპაროვმა გაწირა ხარისხიც, ლაზიერის ფრთის უპირატესობა მეფისაზეც განავრცო და თეთრებს წაგება დაემუქრათ. გამოსავლის ძიებაში მოროზევიჩმა ხარისხი დაბრუნა (რაც შეცდომა იყო) და საკონტროლო სვლების შემდგომ მხარეებს ეტლი, კუ და სამ-სამი პაიკი დარჩათ. მაგრამ რა შედარება იყო: მოროზევიჩის ქვეითები ალთა-ბალთას, კასპაროვის გადაბმული გამსვლელი პაიკები კი ძლიერ პერსპექტიულად იყურებოდნენ პირველი ჰორიზონტალისკენ. კვანძი მალე გაიხსნა, კასპაროვმა 15 სვლაში მოაგვარა საქმის ტექნიკური დეტალები და ცხრილში კრამნიკს დაეწია, რადგან „ბრაინგეიმზ ნეტუორკის“ ჩემპიონმა იმ ტურში მხოლოდ კინაღამ მოუგო ალექსეი შიროვს.

ენდშპილი, რომელიც კრამნიკმა გვარიანი ჯახაჯუხის შემდეგ მიიღო, მოსაგები ჩანდა, მაგრამ შიროვს კრამნიკის კი არა, კასპაროვის კომპლექსი აქვს, ამიტომ გასაჭირიდან თავის დაძვრას უშეცდომოდ მიჰყო ხელი, რაც ნახევარი ქულით დაუფასდა, ხოლო იმ ენდშპილზე სპეციალისტებმა თქვეს, ჭადრაკის სახელმძღვანელოებშია შესატანი.

ჩვენთვის ყველაზე უინტერესო და ყაზახთათვის საინტერესო პარტია ბორის გელფანდმა და დარმენ სადვაკასოვმა ითამაშეს. ჭაბუკი ყაზახი პარტიიდან პარტიამდე უმატებს. ამჯერად მან შავებით პოზიციის გათანაბრება შეძლო და მერე შეთავაზებულ ყაიმზეუარი თქვა. გაკვირდა მაყურებელი, ზოგნი თავში ხელებსაც იცემდნენ და, როგორც გაირკვა, საფუძვლიანად: ზედ მეორმოცე სვლაზე ყაზახმა დროს გადააცილა. არადა, ყაიმის საკმაო შანსები ჰქონდა. გაცეცხლებული სადვაკასოვი ცხვირპირის მტვრევით გავარდა გარეთ, მაგრამ ჩქარა დაბრუნდა და ბოდიში მოიხადა.

მეოთხე ტურში კასპაროვი და კრამნიკი ხვდებიან!

დავით გულუა

ვითარება 3 ტურის შემდეგ

1-2. კასპაროვი, კრამნიკი 2,5; 3-4. შიროვი, გელფანდი 1,5; 5. მოროზევიჩი 1; 6. სადვაკასოვი 0

NHL. სტენლის თასი. კონფერენციის ფინალი (ოთხ მოგებამდე)

პიტსბურგული ზღაპარი აბუჩად აგდებით დასრულდა

22 მაისი

აღმოსავლეთი

ნიუ ჯერსი	4
პიტსბურგი	1

ნიუ ჯერსი 4:2 პიტსბურგი (1:1 2:1 1:0)

1:0 არნოტი 1 (6), 1:1 მოროზოვი 17 (3), 2:1 არნოტი 28 (7), 3:1 ჰოლიკი 33 (6), 3:2 სტრაკა 34 (5), 4:2 მედინი 44 (3)

სასწაული არ მოხდა და ვარსკვლავიანმა, მაგრამ არადაბალანსებულმა კლუბმა გზა დაუთმო გუნდ-ვარსკვლავს, გუნდ-მანქანას, რომელიც კარგად აწყობილი მექანიზმივით მუშაობს და რომლის მოშლაც პრაქტიკულად შეუძლებელია. რაოდენ დასანანიც უნდა იყოს, ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ჰოკეისტის, მარიო ლემიეს დაბრუნებას სევდიანი ბოლო ჰქონდა. მისმა გუნდმა წააგო, თანაც როგორ: ნიუ ჯერსიმ თავს უფლებაც მისცა, მეტოქესთან კატაკგვობანა ეთამაშა.

ბოლო, მეხუთე მატჩიც გარკვეულწილად ასეთ გართობად აქცია ფავორიტმა. პირველივე წუთზე წამყვანი სამეულის მძლავრი შეტევა ჯეისონ არნოტის არანაკლებ ძლიერი გასროლით დამთავრდა. სწრაფმა გოლმა პიტსბურგელები ისე დააბნია, რომ საწყის 15 წუთში არა მარტო დარტყმის განხორციელებას, არამედ შუა ზონის გადალახვასაც ვერ ახერხებდნენ, ისე ახშობდნენ მასპინძლები მათ ყველა მცდელობას, შეტევა წამოწყოთ. ამის შემდეგ ნიუ ჯერსი ოდნავ მოდუნდა და პიტსბურგს ორი მომენტის შექმნის საშუალება მისცა, რაც სტუმრებმა გოლად აქციეს კიდეც. იან მორანის დარტყმის შემდეგ, რომელიც მარტინ ბროდომ მოიგერია, შაიბა ალექსეი მოროზოვს მიუგორდა და მას ცარიელი კუთხის დალაშქვრა არ გასჭირვებია. თუმც „პინგვინებმა“ დიდხანს ვერ ილაღეს. სულ რამდენიმე წუთში ნიუ ჯერსიმ კვლავ ენერგიულად მოჰკიდა საქმეს ხელი და ზედიზედ სამ ცვლაში მეტოქე ისეთი ზეწოლის ქვეშ მოაქცია, რომ პიტსბურგი იძულებული გახდა, მორიგი შეტევა წესების დარღვევით შეეჩერებინა. ამას ჯეისონ არნოტის უძლიერესი დარტყმა მოჰყვა. გავიდა კიდევ ხუთი წუთი. „ეშმაკებმა“ მეტოქე ოსტატურად გამოიჭირეს შეცდომაზე, სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს და ბობი ჰოლიკმა შაიბა პირდაპირ ზედა მარცხენა კუთხეში გაგზავნა. ამით ყველაფერი არ დამთავრებულა. მასპინძლებმა, როგორც სჩვევიათ ხოლმე, ოინბაზობისთვის მოიცალეს. გახარებულმა ჰოლიკმა უმიზეზოდ დაარღვია წესები, უმცირესობაში ჯონ მედინმა ჰედბერგთან პირისპირ გასვლა ვერ გამოიყენა და ნიუ ჯერსიმ შაიბა საკუთარ კარში მიიღო. მარტინ სტრაკას ვერც დარტყმისას შეუშალა ხელი ვინმემ, ვერც დამატებაზე. თუმც მეტის გაკეთება „ეშმაკებმა“ მეტოქეს აღარ აცალეს. მართალია, მესამე პერიოდში პიტსბურგმა მთელი ძალებით შეუტია და მასპინძელთა დაცვას დიდი ჯაფა დაადგა, მაგრამ აშკარა საგოლე მომენტი აღარ შექმნილა. თანაც 44-ე წუთზე სტუმართა დაცვამ კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა და ამჯერად მედინმა ჰედბერგს არანაირი შანსი არ დაუტოვა.

ასე აიგდო აბუჩად ნიუ ჯერსიმ პიტსბურგი და თავის ისტორიაში მესამედ მიაღწია თასის ფინალამდე. წინა ორი ცდაც, 1995 წელს და შარშან, იღბლიანი იყო.

აღსანიშნავია კიდევ ერთი რამ. ეს შესაძლოა მარიო ლემიესა და იაროსლავ იაგრის ბოლო ერთობლივი თამაში იყო. მომდევნო სეზონიდან იაგრი, ალბათ, სხვა გუნდში გადავა. მანამდე კი მან პიტსბურგის მაისურაში ბოლო მატჩისშემდგომი კომენტარი გააკეთა: „დღეს ჩვენი საუკეთესო თამაში ვაჩვენეთ, მაგრამ ამ საცარი გუნდის წინააღმდეგ მაინც ვერაფერი გავახერხეთ. ყველამ თვალნათლივ ნახა, თუ რაოდენ მაღლა დგას ნიუ ჯერსი ჩვენზე“.

ლემიე კი რჩება. რჩება და კიდევ ერთ სეზონს ითამაშებს. იმედია, ისევე ტრიუმფალურად წავა ჰოკეიდან, როგორც დაბრუნდა.

სამველ ღარიბიანი

ბომბარდირები: ჰეიდუკი (კოლორადო) 20 (7+13), სიკორა 18 (8+10), ელიაში (ორივე — ნიუ ჯერსი) 18 (7+11), საკიკი (კოლორადო) 17 (9+8), ლემიე (პიტსბურგი) 17 (6+11), რაფალსკი (ნიუ ჯერსი) 15 (7+8), ტარჯონი (სენტ ლუისი) 15 (5+10), ჰოლიკი (ნიუ ჯერსი) 14 (6+8), ბლეიკი და ფორსბერგი 14 (4+10), ტანგეი (ყველა — კოლორადო) 14 (2+12), არნოტი (ნიუ ჯერსი) 13 (7+6).

სარაევოს ტურნირი

ძმამ ძმას აჯობა

ფლეულს ძლიერ ჩამოქვეითებული „ბოსნა 2001“ ბულგარელთა სავილდაო ტურნირი გამოდგა. ვესელინ ტოპალოვი და კირილ გეორგიევი ებრაელ ილია სმირინთან ერთად 5 ტურის შემდეგ ლიდერობდნენ და არც მეექვსე ტურს შეუცვლია რამე, რადგან ხუთივე პარტია ყაიმით დასრულდა. მე-7 ტურში სამივე ლიდერმა მოიგო და ბოლო ორმა ტურმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. მე-8 ტურში ებრაელს არ გაუმართლა, ბოსნიელ სუათ ატალიკთან თეთრებით სულელურად წააგო, ხოლო ბულგარული დერბი მშვიდობით მორჩა და ტოპალოვი და გეორგიევი დაწინაურდნენ. მიმყოლებიდან ალექსანდრ დრეევს სიცოცხლე კი ეტყობოდა (ერთი პარტია ატალიკს მოუგო), მაგრამ არა იმდენად, რომ ლიდერებს დასწეოდა. რუსი მდევარი იყო მთელი ტურნირის განმავლობაში და მდევრად დაასრულა თამაში. ბოლო ტურში სმირინი და დრეევი შეხვდნენ, ქულები თანაბრად ჰქონდათ და, ალბათ, პირველობის სურვილით არ იწვოდნენ, ამიტომ მალევე შეთანხმდნენ ყაიმზე.

ბულგარელებიდან პირველობის მეტი შანსი გეორგიევს ჰქონდა, რადგან თეთრებით ხვდებოდა ბოიან კურაიცას, ტოპალოვს კი შავებით ივან სოკოლოვის ზღუდე უნდა დაეძლია, რაც ვერ მოახერხა და ნახევარ ქულას დასჯერდა. გეორგიევმა კი მოიგო და მარტომ ირგუნა პირველობა. სოლიდური ასაკის მიუხედავად, ეს მისი პირველი სერიოზული წარმატებაა.

დავით გულუა

საბოლოო შედეგები

1. კირილ გეორგიევი (ბულგარეთი) 6,5; 2. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 6; 3-4. ილია სმირინი (ისრაელი), ალექსანდრ დრეევი (რუსეთი) 5,5; 5-7. ივან სოკოლოვი (ბოსნია), ზდენკო კოტული (ხორვატია), ემირ დიძარეგიჩი (ბოსნია) 4; 8. სერგეი მოვსესიანი (ჩეხეთი) 3,5; 9-10. სუათ ატალაკი (ბოსნია), ბოიან კურაიცა (ბოსნია) 3

დოქტორი ფინალში ვერ გავიდა



REUTERS ჩაბელ ბილიდან

ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტმა ვინს კარტერმა დიპლომი დაწერა და აფრო-ამერიკული ისტორიის დოქტორიც შეიქნა. ეს დოქტორი სხვაგვარად მილიონერი, ვარსკვლავი და „ტორონტო რეპტორზის“ კალათბურთელთა გუნდის ლიდერია. იმავ დღეს „რეპტორზი“ ენბიეის პლეიოფს გამოეთხოვა — ფილადელფიაში ჩასული დოქტორი და მისი გუნდი, უსწავლელმა ალენ აივერსონმა წამოაქცია.

REUTERS ბარი ბიდან

თუ კისერს მოიტეხ

აზერბაიჯანელმა ელჩინ ისმაილოვმა (მუქი კიმონო) ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედალი მოიპოვა. ფრანგ სირილ სოიერს წესით კი უნდა დაეჯაბნა კავკასიელი და უგებდა კიდეც, მაგრამ ფრანგმა საკუთარი სიცოცხლისთვის მეტად სახიფათო ილეთი წამოიწყო, კინაღამ კისერი მოიტეხა და ეგრევე წაგება ჩაეთვალა. ფოტოზე კარგად ჩანს, რომ ქვეშმოქცეულ სოიერს კისრის მოტეხვას არაფერი უკლია.

ალმოსავლეთის თასი



AP ისტ რეზერფორდიდან

სტენლის თასის ფინალში დასავლეთის და აღმოსავლეთის ჩემპიონები ხვდებიან ერთმანეთს, „კოლორადო ეველანში“ და „ნიუ ჯერსი დევილზი“. მანამდე კი ნიუჯერსელთა კაპიტანი სკოტ სტივენსი სიამაყით იბარებს კონფერენციის ჩემპიონის ჯილდოს, უელსის პრინცის თასს ნჰლ-ს ვიცე პრეზიდენტ ბილ დელისგან. კონფერენციის ფინალში „დევილზმა“ ხუთ შეხვედრაში დაამარცხა მარიო ლემიეს „პიტსბურგ პინგვინზი“ და ბოლო შეხვედრაშიც, მშობლიურ „მიდოულენდს არენაზე“ 4:2 იმარჯვა.



REUTERS ბელიბუნიონიდან

ბილი მინდორაი

ასეა, როცა კაცი მოიცლი. მოქმედების ადგილი კი ირლანდია, კერის საგრაფო, ბელიბუნიონის გოლფ კლუბია. ბილ კლინტონი მასავით მოცლილ ირლანიის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრ დიკ სპრინგსს დაუპატიჟია მწვანე კუნძულზე.

ისევ მონტე კარლოდან

THE SUN

ისევ მონტე კარლოდან მოფრენილი გვრიტები. გუშინწინ იქ გამართული „ლორუს“ სპორტული ჯილდოების გადაცემის ცერემონიალზე ბევრმა ნაცნობ-უცნობმა გაატარა დრო. დღეს ნაცნობებს შევხედოთ: „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელ დუაიტ იორკსა და მის თავაწყვეტილ გოგოს, ტომმოდელ ჯორდანს. ასევე, სქოთურად მოსილ მეფორმულე დევიდ კულჰარდს და მანქანიდან ძლივსგადმოსულ გერმანელ ლამაზმანს, ჰაიდი კლუმს. გულაობენ, ბურჟუები, მუშა კაცის ბედი კი, ძნელია.



სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაძეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი **კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტო-რეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, თამაზ გოგეგაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა ლეკაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ჟუჟუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge